


იანვარი  
1929 წ.  
№ 37

# დემოკრატიული საქართველო

  
La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
JANVIER  
1929—№ 37

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ჰ ნ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—მტერი და ჩვენ.  
ს. ფიშინაძე—სამი წელი.  
რ. ინგილი—სახალწლო ფიქრები.  
ილია ნუცუბიძე—ახ. წელი და ჩვენი მოვალეობანი

\* \* \*—ახალი ეტაპი უკრაინის შავი-ქვის მრეწველ-  
მუსტაფა ჩაქაევ—თურქესტანში. წერ. მეოთხე.  
უცხოეთის მიმოხილვა.  
საბჭოთა საქართველოში. და სხვ.

## მ თ ე რ ი ღ ა ჩ ვ ე ნ .

ერთი წელიწადი კიდევ გადავლახეთ და ჩვენ ისევ აქა ვართ... სამშობლო გაპარტახებული, ერთი ბორკილებში, უფლება აყრილი, შეგინებული.

ღვება მეცხრე წელი ჩვენთვის, მეთორმეტე—რუსეთისთვის, რაც მძვინვარებს საშინელი. გაუგონარი რეჟიმი. განა მოიძებნება ვინმე, ვისაც ეფიქრნა მისი ამდენი ხნის გაძლება?

ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების მოლოდინში რუსის მემარჯვენენი და თვით ლიბერალნიც ვერ მალავდენ სიხარულს, რომ მოახლოებული ქარიშხალი ორიოდ კვირაში ჩანელდებოდა და მის მიერ დანგრეულ ახალ წყობილებას ისინი ძველით შეცვლიდენ. მაგრამ მემარცხენენიც, თებერვლის ხელმძღვანელნიც ხომ სრულიად დარწმუნებული იყვენ, რომ ბოლშევიზმის თარეში რამდენსამე თვესაც ვერ გასტანდა.

არ გამართლდა ეს მოლოდინი, არ ახდა წინასწარმეტყველება ცალკე პირთა თუ პარტიათა. მოვსტყუვდით ყველანი, არა მარტო სხვები, არამედ ჩვენც. აი საგანი საბჭოთა კალმოსნების და მოლაყბეთა ნაძალადევ დაცინვისა.

რატომ მოვსტყუვდით? რაზედ ვემყარებოდით? იმაზედ, რომ ვერწარმოგვედგინა ასეთი ველურობის ხანგრძლივობა. ველურობა, რომელმაც ხალხს მოსტაცა უბრალო განძრევის, აზროვნების, თვით სიცოცხლის უფლება, არ შეაჩინა მას ქონება, არც ოჯა-

ნი და სარწმუნოება, — ვეფიქრობდით, ჩქარა გაჰქრებოდა.

ვის უნდა გაექრო? რასაკვირველია, უფლება და ღირსება აყრილ ხალხს. მაგრამ რუსის ხალხი ამ მხრივ უფრო მომთმენი და ამტანი გამოდგა, ვინემ რომელიმე თანამედროვე ვრი. ჩვენ ეს არ ვიცოდით, არ მოველოდით.

არ მოელოდენ თვით კრემლის მედროვენიც. მათ თავიდან არ სწამდათ, არ სწამთ დღესაც საბოლოო გამარჯვება. ამით აიხსნება მათი განუწყვეტელი განგაში და უფოთვა ნამდვილ თუ მოზმანებულ სიფათზე. მედროვე კიდევ ამით არიან ისინი, რომ გამოაქვთ საჯარო სავაჭროთ ქვეყნის სიმდიდრენი, მზათ არიან დაუწინდრონ საერთაშორისო ფინანსისტებს ხალხის საბადებელი, ჩაყენონ უდიდესი სახელმწიფო კოლონიის მდგომარეობაში. იმავე დროს ანადგურებენ მეთოდითრათ სახალხო მეურნეობას, მრეწველობას, ვაჭრობას. ჩვენს შემდეგ თუ გინდ ქვა-ქვანედ ნუ დარჩება—აი მათი მცნება.

ასეთი ბედოვლათობა, თავზე სელაღებულობა და მუღმივი შიში სვალინდელი დღისთვის მაჩვენებელია მხოლოდ სრული უიმედობისა და გარდაუვალი დასასრულის მოლოდინისა.

ჩვენ მოვსტყუვდით, მაშასამე, დროში და არა რეჟიმის დაფასებაში, რომელიც განწირულია, დაი-



ნგრევა... არა თავისით, ცხადია, არამედ ხალხის ამოძრავებით.

ამაზე თვით კრემლიდან გაისმა პირველად განცხადება. იქიდან გვამცნეს სწორეთ, რომ რუსის გლეხობა გათამამებულია და მუსრს ავლებს საბჭოთა მოხელეთ და დაწესებულებებს. ამოგამოდგა გათიშვის ხერხი: ღარიბი, საშუალო და შეძლებული გლეხები ერთმანეთს ეკედლებიან, მათ აერთებს განუსაზღვრელი სიძულვილი რეჟიმის მიმართ.

ქალაქებში უკმაყოფილება და სიბრაზე გულის სიღრმიდან ზედაპირზედ გადმოდის თანდათან. მოედნებზედ და ქუჩებში, სადაც ხალხის კუდებია განუწყვეტელი, ხმამალა გაისმის ხელისუფლების წყევლა-კრულვა. უმუშევართა ბრბოები მუშტს იღვრებენ და ადგილ-ადგილ სისხლიც კი იღვრება. ვაფიცვები ხშირდება, არალეგალური პროკლამაციები ხელიდან ხელში გადადის, კავშირის «პრეზიდენტს» კალინინს კრებიდან შტვენით ისტუმრებენ...

სხვა პირობებია კავშირში მომწყვდეულ არარუს ერებში. ამათ საქმე აქვთ საოკუპაციო ჯარებთან და რეჟიმის სიმკაცრეს ზედ ერთვის ეროვნული ჩავრა. თუ წინეთ ეს ერები შეტევაზე გადადიოდნ და უამრავი მსხვერპლი მიიტანეს თავისუფლების საკურთხველზედ, დღეს ისინი ძალას იკრეფენ, ემზადებიან და სულგანაბული უცდიან ახალი ქარიშხლის ამოვარდნას ჩრდილოეთიდან.

გამოდის, ამ რიგათ, რომ განკითხვის დღე არც ისე შორსაა. ტროცკის ენამ უყვილა, რომ რუსეთი უკვე მომწიფებულია გადატრიალებისათვის. მართალია, მას თავისი წამალი აქვს, ისე როგორც მემარჯვენე ოპოზიციას, მდგომარეობის სახსენლოთ, მაგრამ გვიანდაა, და სტალინიც ხომ ცდას არ აკლებს დიდი კრიზისის დასაჩქარებლათ.

უცხოეთი გულდამშვიდებით უცქერის რუსეთის ამბების განვითარებას; იცის, რომ დღევანდელი ბატონები დიდხანს ვერ იბოგინებენ და ამიტომ არ ჩქარობენ მათთან გადაბმას ეკონომიურ-პოლიტიკურათ.

უნდა ითქვას ისიც, რომ არარუს ერთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, თანდათან მეტ ყურადღებას იპყრობს უცხოეთში. მარტო ის გარემოება, რომ რუსის ხალხმა ჯერეც ვერ სძლია საკუთარ ფათერაკს და მოსკოვში არარუსნი თამაშობენ პირველ როლებს, ზედმეტ საბუთად მიაჩნიათ იმის სასარგებლოთ, რომ არარუსი ერები გამოეყონ კავშირს და თავისთვის მოეწყონ დამოუკიდებლათ.

თანაგრძობის ეს ზრდა არარუს ერებისადმი დიდ აღელვებას იწვევს რუსის ემიგრაციაში, განურჩევლათ მიმართულებისა. გასული წელი ერთობ დამახასიათებელი იყო ამ მხრივ. რუსის ემიგრანტები გაშმაგებით ებრძოდნ პრესაში და კრებებზედ კავკასია-უკრაინის ერთა მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი. თვითონ სამშობლო დაკარგულნი და მისი დაბრუნებისთვის თითქოს თავდადებულნი, ჩვენი სამშოვლოს განთავისუფლებას ეწინააღმდეგებოდნ! ამით ისინი არაპირდაპირ ამართლებდნ მოსკოვის ძალმომრეობას ჩვენზე.

ასეთი განწყობილება ჩვენ არ მიგვანჩნია აუცილებლად თვით ადგილზედ. იქ, სადაც ბრძოლაში არიან ან იქნებიან ჩაბმულნი, კითხვა უფრო პრაქტიკულათ ისმის: რუსები, ისე როგორც არარუსები უნდა მიხვდნ, რომ მათი ტაქტიკური შეთანხმება, ურთიერთ ეროვნული უფლების ლოიალური ცნონით და პატივისცემით, მიზანშეწონილია უმზავსო რეჟიმის შესამუსრათ.

კიდევ უფრო მკიდრო შეთანხმება არარუს ერთა შორის არა მარტო მიზანშეწონილია, არამედ სრულიად ბუნებრივიც, გამომდინარე მათი სასიცოცხლო ინტერესებიდან.

ქართველი ერი არ ივიწყებს ამავე დროს თავის საერთაშორისო სტატუსს და იცავს მას მთელის თავის ენერგიით მტრის ვერაგულ თავდასხმებისგან.


ჩვენი იმედი უწინარეს ყოვლისა ქართველ ერზედ ემყარება, მის ნებისყოფაზედ, ბრძოლის უნარზედ, გამძლეობაზედ.

არ ყოფილა ისეთი წუთი, ამ რვა წლის განმავლობაში, რომ ქართველ ერს დაეჯერებინს არსებული რეჟიმის საბოლოო დამკვიდრება, ან უცხო უღლის გადაუგდებლობა. ის ხედავს თავის თვლით მტრის დაუძლურებას როგორც შიგნით, ისე გარეთ, და დარწმუნებულია ჩქარა გაიმარჯვებს მასზე.

ქართველი გუშინდელი ერი არ არის, რომ შეუშინდეს ერთი და ორი წლის ვადაცილებას მიზნის მიღწევამდე. ისტორიული გამოცდილება, რომელიც მას აქვს, ცხად ჰყოფს მისთვის, რომ ერის ცხოვრებაში ასეთ პაუზებს დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ სამშობლოს განსაცდელი იწვევს ერის ყველა შვილების ერთსულოვნებას, შეკავშირება-შედულებას, აღფრთოვანებას. ქართველი ერი ამ თვისებებს მოკლებული არ არის, და ვუსურვებთ მას, ახალი წლის დამდეგს, საქმით დაამტკიცოს ეს.





ს ა მ ი წ ე ლ ი.

სამი წელი შესრულდა, რაც არსებობს «დაძალუკ. საქართველო», თავისუფალი ორგანო გამომხატველი ქართველი ერის საერთო მისწრაფების, შემაერთებული ყველა ქართული პოლიტიკური აზროვნების, მატარებელი სამშობლოს თავისუფლების დროშის, მებრძოლი მისი აღდგენისათვის, მისი მომავალისათვის.

ასეთი გამოცემა დღეს შესაძლებელია მხოლოდ უცხოეთში. მას შემდეგ რაც ფენი მოიდგა ქართულმა ბეჭდვითმა სიტყვამ, მისი მდგომარეობა არასოდეს ყოფილა ასე შევიწროვებული, როგორც ამ უამადაა. პრესა ნამდვილად არც არსებობს დღევანდელ საქართველოში, ვინაიდან პრესა შეიძლება იყოს იქ, სადაც მოიპოვება რაიმე შესაძლებლობა თუნდაც ქარაგმით, არაკით. თუნდაც შორეულად, თუნდაც წერტილებით, დუმილით მაინც გამოსთქვას საზოგადოებამ თავისი შეხედულება, ფიქრი, კმაყოფილება თუ უკმაყოფილება; ასეთი რამ კი ჩვენს ქვეყანაში სასტიკად აკრძალულია. იქ მოკლულია აზრი, თავისუფალი აზრი, თავისუფალი ქართული აზრი, და ორიოდ ქართულის ასოებით დაბეჭდილი გაზეთი გამომხატავს არა ქართველი ხალხის ზრახვებს, არა ქართველ მოღვაწეების ნაგრძნობს და ნაფიქრს, არამედ მოსკოველ მოძალადეების ნაბრძანებს და ნაკარნახევს, ფოსტით თუ რადიოთი გადმოცემულს.

მტრის მიერ დაკავებული საქართველოს სინამდვილის განათება, მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვა, გამოცხადება მისი სულისკვეთების, გარკვევა განმათავისუფლებელ ბრძოლის გზების და პერსპექტივების—წილად ხედა უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველობას. რომელიც დაშორებულია სამშობლოს, მაგრამ მთელის თავის არსებით გადაჭდობილია მის ბედსა და უბედობაზე. ეს მეტად სამძიმო და საპასუხისმგებლო საქმეა. დროგამოშვებით გამოცემა, იქნება დღიური თუ თვიური, მაშინ შესაძლებელს პირნათლად თავის მაღალს დანიშნულებას, როდესაც ჩაბმულია უშუალოთ მიმდინარე ცხოვრებაში, ხალხის მაჯის ცემასთან ახლო დგას, ესმის პირდაპირ მისი ხმა, ხედავს მას ჭირსა და ლხინს, განიცდის ერის ცხოვრების ყოველ მოვლენას, მის დაწინაურებას, თუ დაქვეითებას; როდესაც სუნთქავს იმ ჰაერს, რომელიც ასულდგმულებს მშობელ ერს, მასაც აცხოველებს ის მზე, რომელიც ანაყოფიერებს და აღმოაცენებს მის სამშობლოში ყველაფერს და ამოძრავებს ყოველი სულიერის სისხლს. ამ მხრივ უცხოეთში მყოფ ქართველების მდგომარეობა მეტად მწარეა და ნაღველით სავსე. იმათვის შეიძლება ხშირად სანატრელიცაა მეტეხის ციხეში ყოფნა და თუნდაც ციხის საკანის სარკმელიდან საქართველოს ერთი კუნძულის დანახვა, მტკვრის დუღუნის გაგონება, თვალის გადავლება მთაწმინდაზე, მოგონებათა

გაცხოველება. იქ მაინც მიწვდებოდნენ მათ ყურთ შორეული სიტყვები ქართველი ხალხის, ესოდენ განაწამების, შორიდან დანახულ მოძმეთა, საუკუნეთა ბრძოლით გამოქანდაკებულ სახეებზე ამოიკითხავდნენ დაუშრეტელს სიმხნევს, ურყევებს სიმტკიცეს, ახალს და ახალს წახალისებას...

ყოველსავე ამას მოკლებულნი ვართ აქ და ეს თითქოს აბრკოლებს ჩვენს მუშაობას. ხლო აქაურებს გვაქვს ის უპირატესობა, რომ დაშორებულნი დღიურ მღელვარებას, მეტის დამშვიდებით ვახერხებთ ჩავუკვირდეთ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას, შევაფასოთ ყოველმხრივ მისი განსაცდელი, უფრო სისწორით გავარკვიოთ მისი განთავისუფლების საშუალებანი. ამასთანავე სამშობლოს დაშორებას გვიადვილებს სამშობლოსთან მუდმივი კავშირი, იქ მყოფთა მოწოდებულნი ცნობები, მათი თანამშრომლობა. ამის გარდა ჩვენ ვცხოვრობთ მოწინავე ქვეყნებში, განათლებულ ერებთან, ვხედავთ მათი განვითარების პირობებს, ამის გაცნობა გვემარება მეტის დაკვირვებით და შეგნებით მივუდგეთ ჩვენს საკითხს, რომელიც უთუოდ გადაბმულია მსოფლიოს დიდ საკითხებზე. დასასრულ აქ—უცხოეთში—ვართ თავისუფალნი და არ ვიმყოფებით სატუსალოში, როგორც მთელი საქართველო: ჩვენთვის გაადვილებულია სისწორის გავება, ჩვენ შეგვიძლია თავისუფლად გამოვსთქვათ გულითადი რწმენა და მისწრაფება.

ასეთია კარგი და ცუდი პირობები «დამ. საქართველოს» არსებობის. ის ცთილობს სამშობლოში მყოფ ქართველების და უცხო მხარეს გარდმოხვეწილების განცდები, დაკვირვებანი და ძიებანი შეადუღოს ერთს მისწრაფებაში. ორივენი—იქაურნი და აქაურნი—ერთს სატრფიალო საგანს ვემსახურებით—საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. იქაც და აქაც შეურიგებელი ბრძოლაა დამპყრობელების წინამდევ, ფარული თუ აშკარა, ბრძოლა მრავალის იარაღით, საშუალებით. ერთი მეორეს ვუზიარებთ ნაგრძნობს და ნაფიქრს, ერთანეთს ვენმარებით სწორის მოქმედების საწარმოებლად. ჩვენი მჭიდრო ურთიერთობა აუცილებელი პირობაა ჩვენი გამარჯვებისთვის. ზოგი რამ აქ არ ვიცით, ზოგი რამ იქ არ ვიცით, ზოგს რასმე ჩვენ ვერ ვხედავთ, ზოგს—თქვენ. ზოგი რამ თქვენ შეგიძლიათ, ზოგი რამ მხოლოდ ჩვენ. უერთმანეთობა ცალმხრივობას წარმოშობდა, და რამდენად ხშირი და სრული კავშირი და დამოკიდებულება გვექნება ერთმანეთთან, იმდენად ჩვენი საქმიანობა—შინაური თუ საგარეო—იქნება მკვიდრი, სწორი, ნაყოფიერი, იმდენად მოახლოვდება ჩვენი ქვეყნის სრული განთავისუფლების დღე.

ბ. ფირცხალავა.



ს ა ა ხ ა ლ ფ ლ ო უ ი ძ რ მ ბ ი.

«შენი ივერი აღბეჭვს ძლიერ... ძლიერს დიდებით»...  
გრ. ორბ-ნი.

თავის ბუნებრივი წრე სამყარომ შეასრულა და შეუბრუნდა ახალს. ქამთალრიცხვის წიგნი გადაშლილია.

ჩვეულებათ არის გადაქცეული გაკეთებულის ჯამის აღნუსხვა ასეთს დროს, გასაკეთებელისა-კი ზოგადი გამოყარაულება მინც. ამას სჩადიან ყველანი: კერძო პიროვნება, ოჯახი, საზოგადოების ესა თუ ის წრე, ერი, სახელმწიფო...

მიმდინარე პირობების გამო ამ დროს ქართველი ხალხის შემკრებილობითი გონების წინაშე უკვე შვიდი წელიწადია, მთელის სიმწვავეითა და შეგარბობით აღმართებული არის ერთი და იგივე საკითხი ერთი და იგივე საგნის ირგლივ: რა ჩასწერა საუკუნოებში გადასულმა წელმა საქართველოს ჭირვარამ ნახულ დავთარში? იდგა ქართველი ერი თავის შესაფერ სიმალეზე? კიდევ დაანახვა ლაჩარსა და ვერაგ მტერს შეუბრუნებელი და ბრძოლის სურვილით გაამაყებულის სახე საქართველოსა, თუ დაბეჩავებულმა დაილაჯჯაწყვეტილმა იარაღი დაჰყარა და შენდობის გამოთხოვნა ამჯობინა? ამრავლებენ ძველებურათ შეფიცული გმირები მონობის ბორკილის შემემუსრავ კიდითკიდემდე მოდებულ გუნდებს, თუ აუთრდოდათ მარჯვენა და ცისკალთებთან საუბარს ჩვეული ქართული დროშა წუმეში ამოვანგლეს?

ასეთი კითხვებით გამოეთხოვა ქართველი ძველს წელიწადს, ამავე კითხვებით ეგებება ახალს. შინ და გარეთ ერთია ფიქრისა, ჯავრისა და იმედიცა...

გასული წელიწადი ჩვენმა ქვეყანამ გარეგანი სიჩუმით ჩაატარა. შეიარაღებულ აჯანყებაში ძლიერ ქართველობის დაწყნარების პროცესი «უმტკიცენულოდ» სრულდება და ჩეკისა და სხვა მის მონათესავე წვრილფეხა დაწყებულებებისაგან სრულებით საარხეინო «რელაციებს» ისმენს მოსკოვის სახანო. რუსის კომუნისტურ აგენტებს მართლაც რომ დიდი საფუძველი აქვთ, კმაყოფილებით აღნიშნონ უსწორო ბრძოლის შედეგები, იმ ბრძოლისა, რომელიც გამწარებულმა ქართველმა ხალხმა გაოცებულ სახელმწიფოთა თვალწინ უზარმაზარ რუსეთს მისცა—და ისიც როგორ პირობებში? როდესაც ერის წინამძღოლნი ჩეკის ცხრაკლიტულში გადაარახულნი, ან და სხვა და სხვა ქვეყნებში მიბნეულიყვნენ, ხოლო თვით დამგლოვიარებულ სამშობლოში-კი მივინვარებდა გალაღებული თარეში კბილებამდის იარაღკრულ ვიგინდარებისა, რომელთა გულადობა სავესებითა და მუდამ რუსის ჯარის ხიშტების სიმრავლით განიზომება...

მუნჯათა დგა პირდახშული ქვეყანა, იქ დუმილი სუფევს, თუ გნებავთ, სამარისებური, ხოლო რა ჰანრებს ატარებს მისი დანაკეთილი შუბლი, ეს ჩეკის კრიმინალებზე უკეთ მოსკოვის სახანოს იმ მეჯინიბეებმა იციან, რომელნიც დღესაც უღობას მხედრებს ფარაჯის კალთებქვეშ უძვრებიან.

რაკი რიცხვით ძლიერი ქომაგი გულგამაგრებუ-

ლნი არიან და უამისოთ ხომ წარმოუდგენელიც არის ამ მზახავი ნოქრების მიერ საქართველოს ჰაერის სუნთქვა—, ისინიც მთელის სისასტკით ამოქმედებენ სახელმწიფოს დამსჯელ აპარატს, რომ ვიდრე დრო და გარემოება კიდევ ხელსუწყობთ, თავიდან მოიშორან ხალხის მიერ პატივითმოსილი ყველა ის გაუტეხელი მებრძოლნი, რომელთა მოუცილებელი ლანდები მოსკოვის ყურმოჭრილ ყმებს დღისით მადან უქრობს და ღამით ძილს უფრთხობს: ჯალათურ სენობაში მათ ბადალი არ მოეპოვებათ; მშიშარამ ცხადია ასეთი დრო უნდა იხელთოს, თორემ მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეხვედრა მას აბა რა სარფს მისცემს! ამ მხრივ მტერმა ზიანი დიდისაგან დიდი მოგვაცენა. თუ მხედველობაში გვექნება ის დაუნდობელი ხოცვა და ებრვე სხვადასხვა მხეცური საქციელი, რამაც სამშობლოს განთავისუფლების მეომართა რიგებს მრავალი სახელოვანი და გამარჯვების იმედით ასულდგმულელები მებრძოლი გამოაღლიჯა. უცხო ხიშტებიან, რომ მტერი კიდევ მოეცილი წის და აღგვილი არ არის საქართველოს მხის ქვეშიდგან! იგივე სხვა ტომის დამპყრობი ძალაა, რომ სვალისიმედ დაკარგულ მტერს სახსარი არგუნა ღებენასა და შევბას ჩვეული ქვეყანა განუზომელი სევდით ალევსო და ქვესკნელის მწყველიადი განემეფებინა მუნ! სადღაა მოქალაქობრივ უფლებათა და ადამიანის ღირსების უზრუნველყოფის სახომი? ვინღაა კანონიერებისა და უფლებრივ ნორმების დარაჯი? სად არის სიმართლე, სამართალი? ასეთი მცნებები კომუნისტურ აღვირახსნილობაში სიცილად არა ჰყოფნით! ბრიყვთა საბრძანებელში საერთო ნორმებიცა და საზოგადოებრივ ურთიერთობის აღმნიშნავი მოვლენებიც ყირამალაა შეტრიალებული და თვალბადე ჩამოფხრეწილი ფემიდაც დანადვლიანებული დაჰყურებს კრეტინებისაგან აქანჩანებულ სასწოროს... მთელს დედამიწის ზურგზე სად წააწყდებით ისეთს უფლებაყირი ქმნილებას, როგორიც არის ვერეთ წოდებული საბჭოთა მოქალაქე—პირაკრული, დაბეჩავებული. თავზარდაცემული, სევდაგანუყრელი, «შავდროთა ძალით ფერწახდენლი»?!

ნურავინ გაიგოებს ჰანრათაც, თითქოს შეიწროებისა და ჩავკრის მწვავე დრონი აწ უკვე შემსუბუქებულყვენ და შენელებულიყვნენ, ესე იგი, მომხდარიყოს ის, რასაც ზოგიერთი გულუბრყვილო «ბოლშევიზმის ევოლიუციას» უწოდებს: ეს სრულებით უაზრო ფრაზა აღბათ იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ ბოლშევიკები თანდათანობით ასე ვთქვათ გაკეთილშობილებისაკენ მიიწევენ და ნგრევა-დარბევის გარდა კიდევ რაღაც უფრო თვალსაჩინო მოქმედებას განიზრახავენ: საქართველოს სინამდვილემ ასეთებისა ჯერჯერობით არაფერი იცის! და მართლაც, რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს «ევოლუცია»? მრავლისაგან მრავალ უთავბოლო საქციელთა, ტყუილ-უბრალო ქლეტისა და აწიოკებისა, ან საზოგადოებრივ





ნორმალ განვითარების დამფუძველ წომეების უკუ-  
გდენაში? მაშინ ბოლშევიკებმა ხომ უნდა თავის ვი-  
ნაობაზე უარი განაცხადონ! ან იქნება პოლიტიკური  
წყობილება სამოქალაქო უფლებათა გაფართოებისა-  
კენ გადისარა? ამაზე პასუხი არ გაუძნელდება ყოველი  
იმ ქართველს, ვისაც ამა თუ იმ სახით რაიმე კავშირი  
აქვს სამშობლოსთან! მაგრამ შესაძლებელია რეჟი-  
მის შინაარსის მიუხედავად საქართველომ თვითმყო-  
ფობა დაიბრუნა და თავისი ეროვნული სხეული გაი-  
მთელა? უნდა ითქვას, რომ ასეთი ამბავი «მულავე-  
რის გმირებს» უდავო «ევოლუციათა» და ნამდვილ  
მიღწევად ჩაეთვლებოდათ! თქვენ წარმოიდგინეთ,  
რომ ჩვენში კიდევ წააწყდებით ორიოდვე მოჯადოე-  
ბულ პიროვნებისა გარდა ბევრ «იდეურ» კომუნისტ-  
საც, რომელთაც დღესაც სჯერათ, რომ აწინდელი  
საქართველო მართლაც ქართული არის და თვითვე  
განაგებს თავის სამკვიდრებელს. გარნა ხომ მოგვსენ-  
ნებათ, «ბრიყვ სიძეს სიდერ სიმამრის ქონება თავი-  
სი ეგონა»...

სამწუხაროდ ვითარება ჩვენს სამშობლოში ისე-  
თი ჯურისაა შექმნილი, რომ ზოგმა თვალი უნდა მო-  
იბრმავეს, ზოგმა ყური მოიყრუოს, თორემ, ერთი  
მითხარით, ვიღამ არ უნდა იცოდეს ესლა, რომ საქა-  
რთველოს სული დღესაც ისევე შეხუთულია, რო-  
გორც რუს ბოლშევიკების შემოსევის პირველ დღეს!  
რუსული ჩექმის ბჯენა მის გულს არ აპშორებია ოდ-  
ნავაც. პირიქით მისი სიმძიმე დროსთან ერთად მა-  
ტულობს, ტკივილიცა და იარებიც უარესდება...

მაშ თუ ასეთი ამბების მხილველნი ვყოფილ-  
ვართ, რაღა უნდა გვაიმედებდეს, შეგვეკითხება მკი-  
თხველი? მე არ ვიცი, სხვები საიდან და რა გზით მო-  
ელნათ სხნას, ჩემთვის კი უეჭვოა, რომ სწორედ მოვ-  
ლენათა ასეთი მიმდინარეობა იძლევა წარმატებული  
ბრძოლისა, ძლივამოსილებისა და განთავისუფლების  
საწინდარს. სხვა გარემოებანი დამხმარე და ხელის  
შემწყობნი არიან! თავიდათავი თვით ქართველი ხა-  
ლხია, მისი ნებისყოფა, მისი პოლიტიკური სიმწიფე,  
ნაციონალური თვითშეგნება, მის მიერ მდგომარეო-  
ბის გაგება და შეფასება და ამისდამიხედვით მიზან-  
შეწონილი და სწორწარზიდული მოქმედება! პირვე-  
ლი და უკანასკნელი სიტყვა ხალხს ეკუთვნის და ამ  
ძმომე წელთა განმავლობაში ამ მხრივ ყველაფერი  
გამორიკვა: ქართველი ერის წინამძღოლთა და ყველა  
იმათ, ვისაც განგებამ ბედნიერება არგუნა სასიქადუ-  
ლო ეროვნულ მოძრაობას აღმალელებული გრძნობი-  
თა და მთელის განცდით ჩაპბმოდნენ, ეჭვი არ შეპა-  
რვიათ ერთხელაც, რომ ამტყდარი ბრძოლა მხოლოდ  
მაშინ ჩაითვლება დამთავრებულათ და ამოწურუ-  
ლათ, როდესაც ჩვენი მიწაწყალიდან მტრის უკანას-  
კნელი სალდათი განიდევნება! ჩვენ უნდა ვუმბოლო-  
დეთ მესვეურთ, რომ ეს შეურიგებლობა მათ პრინ-  
ციპად გადიქციეს! ჩვენ შეაცვიფრება გვმართებს,  
რომ ქართველობა ასე ერთსულოვნათა და მუყაითათ  
ჩაება სასახლო ომში და სახლაპრო სიძნელეთა მიუ-  
ხედავად დღესაც შეუმკრთალად განაგრძობს წინაპა-  
რთაგან გადმოცემულ უნარსა და გამძლეობას!

რითი ვართ ძლიერნი ამ უსწორო სისხლიან ომ-  
ში? მხოლოდ სულის სიდიდით, ნაციონალური შეგ-

ნებით, შედუღებული ერთობითა და იდეალისტური  
ვატაცებით! ეს ელემენტები დღემოდ თანავადდეს,  
მათი ხარობს გაკაყებული მებრძოლი, იმედსა და  
სიმხნევეს იძენს მთელი ხალხი... ამ საოცარი სანახა-  
ობის მხილველი ევროპიელი საზოგადოება მებრძო-  
ლთადმი აღტაცებას ვერა ჰმალავს, ესევე ამბავი  
მტერს თავბრუსა ჰგვრის და ანგარიშებს უბნევს.  
ჩვენ ვიბრძვით და ამითი ვსახელობთ, ხმაღს ქარქა-  
შში არ ვაგებთ, ქართულ დროშას ისტორიულ შარა-  
ვანდებს არა ვხდით... ბრძოლა გრძელდება. გარემო-  
ებათა მიხედვით მისი გამოსახულობა ნაირნაირდება,  
შინაარსი და დედააზრი კი უცვლელია, ერთიდაი-  
გივეა...

რუსის ჯარის ბარაბანის ბრახუნით შემოგდებუ-  
ლი მტერი სხვა სურათს მოელოდდა, ასეთი გახან-  
გრძლივებული და გაფთრებული ბრძოლის შესა-  
ძლებლობა ერთი მუჟა ხალხის მიერ მის თავის ქა-  
ლაში ვერ ეწყობოდა... და რაკი მტერი საბოლოოდ  
დარწმუნდა ქართველი ერის მტკიცე გარდაწყვეტი-  
ლების შეუტყველობაში, რაკი ჰხედავს, რომ მისი  
გულით მოგება უიმედო საქმეა,—უფრო მეტის გაცო-  
ფებით მიჰყო ხელი მის რბევას: იქ—ქვეყანაში—საპ-  
ყრობილიენი ველარ იტევენ პოლიტიკურ პატიმართ,  
თავისუფალი მებრძოლნი კი ტყვესა და მიუვალ მთებს  
შეჰვარებიან და «გულდამყრელებისაგან» საქართვე-  
ლოს შენახვის საქმეს სწავლობენ...

ჩეკას მაინც კმაყოფილად როდი მიაჩნია ხალხის  
წამება საქართველოს საზღვრებში: მან ჩრდილოეთ-  
სეთისა და ციმბირის მიუვალი ჯურღმულები გაავ-  
სო ქართველ გადასახლებულებით. სწორედ გასულ  
წელს გამოიცა ევროპაში დიდი რიცხვი მემორაული  
ნაწარმოებისა, სადაც მოთხრობილია რუსეთის უამ-  
რავი საჯალათოების ავიანობა: ამ წიგნებში ვერა  
ჰნახავთ ისეთ სატუსალოების აღწერილობას, სადაც  
ქართველი მებრძოლი არ იყოს ჩამწყვდეული! რას  
ნიშნავს ეს? იმას, რომ თავგანწირული ბრძოლა წესი-  
ერთათა და დაურღვევლათ სწარმოებს, რომ ეს ბრძო-  
ლა არ არის ამათუიმ გამბედავ შეთქმულთა პარტი-  
ზანული დაკვრანი, არამედ ისეთი სახის ეროვნული  
მოვლენა, რომელშიაც საქართველოს ყველა ცოცხა-  
ლი ძალები ჩაბმულნი არიან...

რვა წელიწადი უნდა შესრულდეს ამ ახლო კვი-  
რებში იმ დაწყველილ დლიდან, როდესაც მაწანწა-  
ლამა და ოხერმა მტერმა უფლებრივსა და მშვიდო-  
ბიან საქართველოს თავისუფლება წაართვა და თავი-  
სი მახინჯი სახიანობა მიანიჭა...

ერმა უკუაგდო დახიანებული ტვინის მიერ მი-  
ჩხაპნილი სირვეგნენი და მოითხოვა სუვერენიტეტის  
დაბრუნება...

ამ დლიდან არ დამცხრალა ბრძოლა, არ შეწყვე-  
ტილა ქართველი ხალხის აწიოკება, არ შემშრალა ქა-  
რთველი დედის ცრემლი... ხოლო არც იმედი გამქ-  
რალა სამშობლოს ზურგიდან მაჯლაჯუნის გადავ-  
დებისა!

ამ იმედით მიაცილა ქართველობამ თავის ბრუ-  
ნვაში გადასული ძველი წელიწადი, ამავე იმედით მი-  
ეგება ახალ წელიწადს!...

ბ. ინგილო.



ახალი წელი და ჩვენი მოვალეობანი.

ახალი წელი გათენდა, ქართველი ერი კი ისევ იტანჯვის. სანგრძობივია ეს ტანჯვა. მაგრამ ურყევია ერის ნებისყოფა, უშრეტია მისი მორალური ძალა. ეს ძალა დღეს არ გაჩენილა: უძველესია ისტორია მისი. ჩვენ ბედი არასოდეს გვწყალობდა: მუდამ აქტიური ბრძოლით გვისხდებოდა ეროვნულ კერის შენარჩუნება და გაღვივება.

ცხოვრებაში არაფერი იკარგვის: მუდმივმა სუსებმა გაქედეს ეროვნული სული.

ყოველ ერს თავისი გენია აქვს. ქართველი ერის გენია თავისუფლების სიყვარულია. ის მუდამ მწესეთამაშება, მაგრამ პრაქტიკულ მიწას არასოდეს ივიწყებს: უდიდესი იდეალისტი, ის ამავე დროს უდიდესი რეალისტი, იგი «ცამ შობა და მიწამ ზარდა», როგორც პოეტი იტყვია.

ეს მთლიანობა სულის იყო მუდამ ერის დარაჯი: ჭმუნვის უამს მისი გამხსნეველი, ნეტარების ხანებში გამაფხიზლებელი და ამიტომ როცა «იგი ბნელს შინა იყო, ბნელი იგი მას ვერ ეწია».

ჭეშმარიტად, ბოლშევიკური ბნელეთი ყოველ ბნელეთზე უარესია, მაგრამ დღესაც, ისე როგორც მუდამ, ქართველი ერი მას თავს დაახწევს; ყოველი ახალი დღე, ახალი წელი ამის დასტურია.

მართალია, ერები ტანჯვაში იშვენ. მაგრამ ქართველი ერის დღევანდელი ტანჯვა სულ უსამართლოა. რას გვერჩოდენ, ვის რა დაუშავეთ? საკუთარი კერა მოვაწყვეთ, თავისუფალ ცხოვრებას შეუდევით, ჩვენსას უფლიდით, სხვას არას ვართმევდით. სათნობას ვთესდით, შევიდობას ვლალადებდით,—ბედნიერნი ვიყავით.

არ დაგვიჩვენეს, აგვაწიოკეს.

იშვიათი ხანაა, აღსავსე მძიმე მოვალეობათა. ბრძოლის გახანგრძლივება ჩვენ გვავალებს მიზანშეწონილ, ფრთხილ საქმიანობას, მტრის მრავალრიცხოვანება კი ყველა ეროვნული ძალების გაერთიანებას,—«ეყვარებოდეთ ურთიერთს, რათა ერთობით აღიარებდეთ: მწამს ერთი ღმერთი»—თავისუფალი საქართველო!

დღის, ერთი ღმერთი—თავისუფალი საქართველო და აქ მე მაგონდება პოეტის უკვდავი სიტყვები: «არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეხედა, არ გავცვლი მე ჩემს საშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეხედა» და, უნდა აღვიარო, არასოდეს მე ამ სიტყვების სიძლიერე და ჭეშმარიტება არ გამიცდია ისე ღრმით, როგორც დღეს აქ, უცხოეთში, სადაც მართლაც ყველაფერი უცხოა შენთვის და მუდამ ასეთი დარჩება, თუნდაც მთელი სიცოცხლე აქ გაატარო. სამშობლოს დაკარგვას ვერ შეედრება ვერაფრის დაკარგვა. ამიტომ მის მოსაპოვებლათ ყველა მამულიშვილი ერთად უნდა იყოს. ეს ისე ბუნებრივია, როგორც ადამიანის მიერ ჰაერის სუნთქვა.

ნათელი, გამოკვეთილი მიზანი გააშუქებს ბრძოლის გზას, რა გინდ დახლართული არ იყოს იგი, და

განამტკიცებს რწმენას გამარჯვებისას. აქ დიდი მოვალეობა აწევს ჩვენს ინტელიგენციას. ხალხიდან გამოსული, ის მუდამ ხალხთანაა, მისი მესაიდუმლე და მისი მრჩეველი. მდგომარეობის სირთულე, პასუხისმგებლობის სიმძიმე მას კიდევ უფრო დაახლოვებს მშობელ წრეს, სადაც ის ჰპოებს უშრეტ წყაროს სიმხნევისა და გამჭრიახობისას.

აქვე ფიქრი ახალ თაობაზე ჩერდება. მწარეა ეს ფიქრი, რადგან მწარეა ხვედრი ჩვენი ახალგაზდობისა. ძველი თაობა მიდის, ის ბუნებრივით ადგილს უთმობს ახალს. ახალი კი ემზადება მემკვიდრეობის მისაღებათ?—ვერა და ეს არც მისი დანაშაულია: საქართველოში დღეს ცოდნის შექმნა, განათლების მიღება შეუძლებელია, რადგან ყოველივე გზა ამისაკენ დახშულია. ახალგაზდობა ხედავს ამას, გრძობს ბედის უკუღმართობას და, ვისაც შეუძლია, გამობრბის აქეთ, ევროპისაკენ, რომ აქ მაინც შეიძინოს ის, რაც განაწამებმა სამშობლომ მას ვერ მისცა, მაგრამ, საუბედუროთ, ანგარიშიან ევროპას ქართველი ახალგაზდის მხურვალე გატაცებანი არაფერს ეუბნება. ახალგაზდა ემიგრანტი სამშობლოდან დახმარებას ვერ იღებს და სწავლის მაგივრათ მას უხდება ქარხნებში ფიზიკური მუშაობა—რომ პურის ფული მაინც იშოვოს. საერთოდ სუსტი აგებულების და ფიზიკურ შრომას უჩვეულო, ის მალე სნეულდება და, საუბედუროთ, გახშირდა შემთხვევები მთლათ დალუპვისაც კი.

ასეთია ბედი მოსწავლე ემიგრანტთა უმრავლესობის, ცოდნის შექმნის მაგივრათ, მათ წინაშე დგას ყოფნა-არყოფნის საკითხი.

მოსწავლე ახალგაზდობის საკითხი უპირველესი მნიშვნელობის საკითხია. ჩვენ მივაქცევთ ამაზე, ვისიც ჯერარს, იმის ყურადღებას. ჩვენს საღმრთო მოვალეობას შეადგენს ერის წინაშე, რომ შეძლები-სა და გვართ ვიზრუნოთ და მოვუაროთ იმ ნორჩ ძალებს, რომლებიც ბედმა თუ უბედობამ ჩვენ შორის მოაქცია.

მტერი დაცემა, ეს შეუძელია. ამაში გვარწმუნებს ყველაფერი.

ჭიდილი ჭეშმარიტებასა და სიყალბეს, სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მუდამ ყოფილა და იქნება. ყოფილა მომენტები, როდესაც ჭეშმარიტება წამოჩქებულა, სიცოცხლეს სიკვდილის ცივი სუნთქვა უგრძენია, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ყოველთვის ჭეშმარიტების ხედავია. რადგან «პირველიდან იყო ჭეშმარიტება (სიტყვა), ჭეშმარიტება იგი იყო ღვთისა თანა და ღმერთი იყო ჭეშმარიტება იგი და ყოველივე მის მიერ შეიქმნა და თვინიერ მისსა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა?»!

და, აი, ამ საბოლოო გამარჯვებისთვის უნდა ვემზადოთ ყოველ დღე და ყოველ მხრივ.

ილია ნუცუბიძე.





ახალი ეტაპი ზიათურის შავი-ქვის მრეწველობაში.

(ზართიმანი და მოდებამეობა \*)

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: — ბუმბერაზსა და ტაკი მასხარას შუა მანძილი ერთი ნაბიჯიაო!

ერთის მხრით: ბუმბერაზ ამერიკის, ბუმბერაზ სპეკულანტების ტიპიური წარმომადგენელი პარტიზანი; ის პარტიზანი, რომელმაც, მოჰკრა რა თავისი ხარბი თვალი ერთ პატარა და მრავალ ტანჯულ ერის ძვირფას განძეულობას; დროებით უპატრონოთ დარჩენილს, ჩალის ფასად მოიწადინა მისი ხელში ჩაგდება; ამისთვის სათანადო ხრიკებიც მოიმარჯვა: — მანამ ხელშეკრულებას დასდებდა და შავი ქვის ექსპორტის დაწვრილების პირობებს გამოიკვლევდა, მოსკოვ-ტფილისის ბოლშევიკებთან წინასწარ მილიონი შეიტანა. რაც გნებავთ, ის დაარქვით ამ უცნაურ ხელგაშლილობას: ქრთამი იყო რგი, თუ სხვა რამ, მან თავის საქმე გაუკეთა პარტიზანს: საქართველოს მარგანეცის ექსპორტი გადაეცა მას ისეთს პირობებში, რომელიც, საერთოდ, ჩვენი ქვეყნისთვის სახარალოდ იყო ცნობილი.

მეორეს მხრით: მოდებამეობა კარზე!.. ამანაც კარგა ხანია აღლო აულო ამ განძეულობასთან, შავი-ქვის წარმოებასთან, ახლო დგომის სარგებლობას. ტყუილად კი არ გამოუთქვეს, თურმე, მეზობლებმა ერთი მკბენარა ლექსი, სადაც კარპეზას სუნაგობა ღირსეულად ყოფილა გამოსახული.

აი ამ ორს, სხვადასხვა სტილის და წონის გმირთა შუა კარგა ხანია გამომწყვდეულია საქართველოსთვის ბევრად ღირებული, შავი-ქვის მრეწველობა, ეს შავგვრემანი «მწვეთ უნახავი» არსება, რომლის გულის მოგებას ვინ ვინდათ, რომ არ ცდილობდეს: სწორედ ყველა ქვეყნის, ყველა პარის და ჯურის ხალხი!.. დღესდღეობით ერთი (ეს პარტიზანი) — უკვე ჩასვენებული მწეა, მეორე კი (ეს მოდებამეობა) — ამომავალი. ერთი ვითომდა გაბუტული განშორდა საბჭოთა სამოთხეს და ამერიკას ამოეფარა; მეორე კი, ამპარტავნულად და მედიდურათ, მარგანეცის ყალბ სპეცობის შარავანდდით მოცული, — მოდის და მოუხარბან, შავი-ქვის წარმოების გაფუჭებულ საქმის, ვითომდა, გამოსაბრუნებლად! მოდებამეს, ალბად, დიდი პრეტენზიები აქვს გულში ჩამარსული: მარგანეცის ექსპორტი, დღეს ძალზედ გაფუჭებული, ისე გამოასწოროს, რომ თვით ამერიკა დააოქოს და სიბრცხილით აწამოს. აი ვნახავთ, აღდგომა და ხვალაო: დააოქებს კიდევ; მე თქვენ გითხრათ, ამისთვის ან საქმის ცოდნა და ჭკუა აკლია და ან გაბედულობა!

როდესაც საქმის გამოსწორება ამისთანა «მოღვაწეებზედ» არის მიგდებული, სრული უფლება აქვს ყველას, ათასი მწარე ფიქრი გაიტაროს გულში. კარპეები და მისი მოსკოვ-ტფილისი ბატონები, როგორც ამას მწვეთ დავინახავთ, მათგანვე წამხდარ საქმის გამოსასწორებლად არ არიან განწყობილნი. მათი მიზანი რაღაც სხვა უნდა იყოს, და სულ პირვე-

ლად დასამარება იმ დიდი ქართული მრეწველობისა, რომელსაც დიდი ხანია მთელი ქვეყანა გაეცნო და შეაფასა კიდევ.

ეს ჩვენი ეროვნული მრეწველობა, ეტყობა, ამჟამად რაღაც ახალ ეტაპს ეჯახება, ეტაპს, რომელიც ვაი რომ მას არაფერ სასიკეთოს არ უქადის.

როგორ არა სთქვას ადამიანმა, რომ ჩვენი შავი-ქვის წარმოება იმ თავითვე სწორედ უბედურ დღეს არის დაბადებული. ვერ იქმნა და ვერ დაახწია საბრალოდ თავი მამინაცვლების ოპეკუნობას. ეს უძვირფასესი საერო სიმდიდრე, დღიდან მისი აღმოჩენისა, ისე მიდის და ჰქრება, რომ ჩვენ ერს წილად მხოლოდ უმცირესი ნაწილი რჩება!..


გადმოცემით ყველამ ვიცით, რომ «შავი-ქვის» მადნების მნიშვნელობა ჩვენთვის, პირველად ჩვენმა დიდმა მოსანმა აკაკიმ აღმოაჩინა. იმ დღიდან დაწყებული «შავი-ქვა» წყველის მაგიერ, ყველას ძიების საგნად გახდა!

შავი-ქვის მიწების პირველმა მესაკუთრეებმა ვერ ისარგებლეს, მაინცდამაინც, მათ ხელში უცბად ჩავარდნილი სიმდიდრე. მსხვილმა მემამულეებმა, როგორც სხვა თავისი დიდი სიმდიდრე, — ესეც «ბატონ-ყმობის» გადავარდნის ხანის ლიკვიდაციას მოახმარეს. უკეთ ვსთქვათ: ყმების ჩამორთმევით დაღუნებული მათი ხაზინა ამ მამულეების დაგირავებით და გაყიდვით შეივსეს. ამის მეოხებით მოხდა, რომ ჭიათურის მრეწველთა შორის ვინ ვინდა რომ არ იყო მოყოლილი: უმთავრესად უცხოელი კაპიტალისტები და უცხოელ კაპიტალისტების გვერდით რაღაც სასწაულით აქა-იქ დარჩენილი ქართველი წვრილი მწარმოებელი... მძიმე ხანა იყო ეს დრო ჭიათურის მრეწველობისათვის. ნამდვილი ყურთა გლეჯა ხდებოდა მადნის ამოღების და მისი უცხოეთში გატანის საქმეში. არავინ ცდილობდა არც კარგი საქონლის დამზადებას, არც გაყიდვის პირობების შესრულებას. იყო ერთი საერთო მოტყუილება, რაც ახლად აღორძინებულ მრეწველობას სათავეშივე უტენდა სახელს და უკარგავდა ნდობას.

რაც შეეხება ქართველ წვრილ მესაკუთრეებს, საქმის რიგთანად მოსაწყობად, მათ არც თანხა გააჩნდათ, არც კრედიტი, რომლის განმანაწილებელი რუსეთის სახელმწიფო ბანკი იყო, და არც უნარი ქონდათ. ამიტომ მათ ამჯობინეს შავი-ქვის მრეწველობაში, მათი არა რთული პსიქოლოგიის საკადრისი როლი ეთამაშნათ, რასაც საერთოდ დაქსაქსულობა ერთობ ხელს უწყობდა. მეურნეობა, მალარობეში შავი მუშაობა, წვრილი ყალიბის მოიჯარადობა — აი ის საქმიანობა, რომელიც ახასიათებდა მათ. ხშირად ხდებოდა, რომ სოლიდარობის ნაცვლად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, თავისი მძიმე შრომით და დეგლობრივი პირობების საუცხოვო ცოდნით სხვებს ამდიდრებდნენ, თვითონ კი ლატაკდებოდნენ, ოთათხანთ ქორივით ისევ შინაურ საქამთეს აწიოკებდნენ, გადამთიელებს კი ახარებდნენ... და გაჩნდა საუცხოვო

\*) ავტორი ამ წერილისა არის ჩვენი ეკონომიური ცხოვრების კარგი მცოდნე და საზოგადო მოღვაწე. რ ე დ.





პირობები ყოველ ჯურის მადა გახსნილ სპეკულიან-ტების სათარეშოთ... მართალია, თანდათან, ევროპიულათ დარაზმული კაპიტალის წარმომადგენლებიც გაჩნდნენ. ზოგმა წარმოებაში ფულიც დახარჯა, გეგმიან მუშაობასაც აპირებდა, ააგო შენობები, მოიტანა მანქანები, მაგრამ ბოლოს მათაც მუშაობა პრიმიტიული ხერხით აძღვრინეს. მთელი საქმიანობა შავი-ქვის მრეწველობაში ისევ ქართველ წვრილ მესაკუთრეთ და მუშაკთა ხელში დარჩა. მათი უნარით ხდებოდა მალაროებიდან შავი-ქვის ამოწიდვაც, მისი გასუფთავება—გარეცხვა, ვაგონების და გემების დატვირთვა. გავიდა თუ არა ზღვაში დატვირთული გემი, აქ ქართველი წვრილი მრეწველი ჩამოშორებული რჩებოდა უცხოეთში გატანილ მარგანეცის სვებედისაგან. არც ის იცოდა, ვინ იყო მყიდველი, ვერც იმას ტყობილობდა, რა იყო ნამდვილი ფასი, რა პირობებში ქირავდებოდა გემი, სად მიდიოდა და ვის და როგორ უნდა ჩაბარებოდა მადანი. მეტი წილი არც თუ ფოთის ოპერაციებში იყო რიკიანად ჩახედული: ჭიათურის საწყობების «დისკას» ვერ გასცილებოდნენ და ვერა!

ასეთ ვაკანალიის დროს, როდესაც უაღრესად ხდებოდა ქართული ინტერესების, და მასთან წვრილ მრეწველ-მუშათა დაჩაგვრა, გამოვიდა სცენაზე ქართული საზოგადოებრივი აზრი, რომელმაც უკვე იცოდა შავი-ქვის მრეწველობის ფასი და მისი მნიშვნელობა ქართველი ერის ეკონომიურად აღორძინებაში. მისი ზეგავლენით მოხდა, რომ საქმის სათავეში მისი საუკეთესო წარმომადგენელნი იყვნენ ჩაყენებული.

ჭიათურის სამთო-მადნო წარმოებაში ახალი ხანა იწყება: საქართველოს ინტერესებს გამოუჩნდნენ მისი კანონიერი დამცველნი და დაიწყო ბრძოლა შეუპოვარი წარმოების ნამდვილ ინტერესების დასაცავად. ამ ბრძოლის დაწვრილებითი აღწერა შორს წავიყვანდა, ყველა მონაწილეთა სახელების ჩამოთვლა გრძელ სიას მოინდომებდა. გავისხენოთ მხოლოდ ერთი დიდი მებრძოლი სახელი, რომელმაც არასდროს დაიშურა, რომ გამარჯვება საზოგადოებრივი ინტერესს რგებოდა; არ ერიდებოდა ამისთვის არც შეჯახებას, არც დიდს შრომას, თავისი ჯანმრთელობაც კი ამ საქმეს შეაღია და როდესაც მოკვდა, ანდერძათ თავის მომდევნოთ დაუტოვა გაგრძელება ბრძოლის იმ დრომდე, სანამ საზოგადო ინტერესი საბოლოოდ გაიმარჯვებდა კერძოზე, სანამ სრულიად არ განხორციელდებოდა ის გეგმა, რომლის აღსრულებას იგი თვისი თანამშრომლების დახმარებით ერთგულად მისდევდა. ეს კაცი იყო ჩვენი ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი).

გიორგი ზდანოვიჩის სამოქმედო გეგმა იყო იმ პროგრამის განხორციელება, რასაც, მასთან ერთად, ქართული საზოგადოებრივი აზრიც მოითხოვდა.

საქართველოს შავი-ქვა ჩვენი ეროვნული სიმდიდრის ერთ-ერთ ღერძათ უნდა გამხდარიყო; მას უნდა მისცემოდა ქართული ნაციონალური საქმიანობის ელფერი. საქართველოსთვის, როგორც დატოვლილ კაპიტალით ღარიბ ქვეყნისთვის, უცხო კაპიტალთან

დაკავშირება აუცილებლად იყო ცნობილი, მხოლოდ ეს დაკავშირება—თანამშრომლობის ხასიათით და არა მონად გახდომით; ადგილობრივი გონების ჩარევა წარმოების ყველა დარგში, ღონისძიებების გამოხატვა, რათა გაიფიქროს მადნის ამოღება, დაწმენდა-გარეცხვა, რკინის-გზით და ზღვით გადაზიდვა; საზღვარგარეთ ვაჭრობა რომ უკეთესად ყოფილიყო წარმოებული, მიზნად იყო დასახული ქართული მარგანეცის კონკურენტების ადგილობრივად გაცნობა და სხვა... მთელი ეს საქმიანობა დიდ საზოგადოებრივ ორგანიზაციის ფარგლებში ხდებოდა, საზოგადოების კონტროლს ქვეშ. როგორც შედეგი ამნაირ მოღვაწეობისა—იყო ხელის შეწყობა და დახმარება მათი, ვინც დაკავშირებული იყო შავი-ქვის მრეწველობასთან—მესაკუთრე იქნებოდა თუ მუშა, მოსამსახურე თუ ადგილობრივი მოსახლეობა. აქედან,—მრეწველობაში გარდა წმინდა წარმოებრივი პრინციპების გატარებისა,—საერობო ორგანიზაციის შემოღება ყველა იმ დაწესებულებაში, რომელნიც ემსახურებოდნენ ამ ჩვენს ეროვნულ სამთო-მადნო საქმეს.

ყველა გვახსოვს, რა გამუდმებული ბრძოლის ატმოსფეროში უხდებოდა გიორგი ზდანოვიჩის ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება, ბრძოლა გარეშე თუ შინაურ მტრებთან, გაუგებრობასთან თუ უკულტურობასთან, მთავრობასთან თუ გავლენიან ფირმებთან.

ყველაზე უფრო დიდი ბრძოლა მას რუსის მთავრობასთან უხდებოდა და ეს არც გასაკვირვებელია. წემოთ მოკლეთ მოყვანილი გეგმაში არ იყო არც ერთი მუხლი, რომელიც რუსეთის მთავრობისათვის მისაღები ყოფიყო. მრეწველობის გაჩაღება საქართველოში სრულებით არ შეადგენდა მის მიზანს. ერობის ჩანასახის გაჩენა საქართველოს შუა გულში ბრაზსა ჰგვრიდა მას, ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიურად ვალდინერება და საკუთარ ძალებზედ დაყარება—მიზს ჰგვრიდა! აქედან წარმოიშვა ყველა ის სასტიკი ზომები, რომელსაც რუსეთის მთავრობა ხმარობდა, რათა ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის წინსვლა დაესუსტებინა.

ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ კიდევ ერთი გარემოება. რუსეთის მთავრობა საქართველოს თუ ყოველთვის ისე უყურებდა როგორც თავის კოლონიას, რომელსაც ნება არა ჰქონდა საკუთარი საწარმოვო ძალები განეფითებინა, ამ შეხედულობას ყველაზე მეტად სწორედ მარგანეცის წარმოებაში ატარებდა. საქმე იმაშია, რომ როგორც საქართველოს, რუსეთსაც აქვს თავისი საკუთარი შავი-ქვის მადნები, რომელიც ნიკოპოლის მადნოებში მდებარეობს. შედარებით ქართულ მარგანეცთან ეს რუსული მადანი გაცილებით უფრო მდარე ღირსებისაა, საწარმოვო პირობებიც უფრო ძნელი აქვს და მარაგიც ნაკლები. თუ საქართველოს შავმა ქვამ საქვეყნო ბაზარზედ ინდოეთის და ბრაზილიის მადნებს აჯობა, ნიკოპოლის რუსული მარგანეცი, რომელიც ვერც კი ბედავდა ფართო სავაჭრო მოედანზედ ლაღად გამოსვლას, რასაკვირვებია მას ვერაფერს დააქვლებდარუსეთის მთავრობა კი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, ნიკოპოლის მადნების ექსპლლატაცია უკეთეს პირობებში ჩაეყენებინა და ამას ნაწილობრივ ახერ-





ხებდა კიდევ თავისი სატარიფო პოლიტიკის გატარებით.

ჯერ კიდევ ყველას გვანახოვს ის საარაკო საგნაო ტარიფი, რომელსაც იხდიდა ჩვენი შავი ქვა ჭიათურრიდან ფოთამდე გადასატანად. დედა-მიწის ზურგზედ ვგონებ ჯერ არ ყოფილა გამოგონილი ისეთი დიდი გადასახადი, როგორც რუსეთის მთავრობამ ქართველ მრეწველობას დაადვა, რათა იგი არ გაღონიერებულიყო და სავსებით არ ჩაეკლა ნიკოპოლის მრეწველობა.

ამნაირის პოლიტიკით რუსეთი, ხანგამოშვებით, მიაღწევდა ხალმე თავის მიზანს. მართალია ამით ნიკოპოლის მარგანეცს იგი ვერასფრით შევლოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან ათამაგებდა ჩვენ უცხოელ კონკურენტებს, რომელნიც სარგებლობდნენ რუსის მთავრობის ამ პოლიტიკას. რათა ბაზარი წაერთმიათ ჩვენთვის. სწორად ახერხებდნენ კიდევ და მით კრიზისებს უჩენდნენ ჩვენს მთავარ სამთამადნო წარმოებას. ბოლოს აქაც გამარჯვება მაინც საქართველოს შავქვას რჩებოდა, რომლის ცნობილი ღირსებანი, საწარმოვო პირობები და ზღვის პირის სიანლოვე დიდს უპირატესობას აძლევდნენ სხვა ქვეყნების მანდებთან.

გიორგი ზდანოვიჩმა და მისმა თანამშრომლებმა პირნათლად შეასრულეს თავისი მოვალეობა: მათ არამც თუ არ დაქსაქსეს ამ დიდ საქმეში ჩაბმული ძალები, არამედ გააერთიანეს მანამდე ცალკე მოქმედი ნაწილები.

შავი-ქვის მრეწველობას ორის მხრით სჭირდებოდა გაღონიერება. გაძლიერება შიგნით, მტკიცე ორგანიზაციის შემოღებით, საზოგადო ინტერესების წინა პლანზედ წამოყენებით. აქ გიორგი ზდანოვიჩი და მისი ამხანაგები სრული გამარჯვებული განვიხილავდნენ. მათ დაქსაქსული და არეული საქმე ჩაიბარეს, თავის მემკვიდრეთ კი გადასცეს გაერთიანებული სალი და ნათელი გეგმით შეიარაღებული დიდი ორგანიზაცია.

სამაგიეროდ, გიორგი ზდანოვიჩი დამარცხებული გამოვიდა მრეწველობის მეორე მხრის დაცვაში. მიუხედავად დიდი ენერჯის წარმოებისა და გამუდმებული ბრძოლის, მან ვერ მოახერხა რუსუს მთავრობის მორჩილება, ვერ შეაცვლივეინა მას მტრული განწყობილება საქართველოს საწარმოვო ძალებისადმი. ამ გამარჯვებისათვის და საზოგადოდ, მრეწველობაში სრული გეგმის განხორციელებისათვის საქირო იყო სულ სხვა პირობები, სხვა ხელ-შემწყობი გარემოებანი. ეს პირობები ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობას დაუდგა იმ დღეს, როდესაც საქართველომ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა და მით მაშინაცვლის ორპირული ოპოკუნობა მშობლიური ზრუნველობით შეეცვალა.

აქედან იწყება მესამე ეტაპი საქართველოს შავი-ქვის მრეწველობის მსვლელობაში, ეპოქა, რომელიც ბუნებრივი გაგრძელებაა განვლილ ეტაპების, მათთან ორიგანიულად შედუღებული და მჭიდროდ დაკავშირებული.

როგორც ვსთქვით შავი-ქვის მრეწველობას ორი დიდი საზრუნავი საგანი ჰქონდა: განმტკიცება შიგ-

ნით, გაერთიანება დაქსაქსულ ძალების და ბრძოლა რუსის დაწესებულებებში მრეწველობისათვის საჭირო უფლებების მოსაპოვებლად.

გიორგი ზდანოვიჩის გარდაცვალების შემდეგაც ეს ბრძოლა თითქმის იმავე ფარგლებში და არსებითად იმავე შინაარსით ხდებოდა, თუმცა ჭიათურის მრეწველთა «საბჭოს» ახალ მუშაკებს, საქმე, თითქმის, იმითი უადვილდებოდათ, რომ მათ ლაპარაკი უკვე რუსეთის რევოლუციონურ მთავრობასთან და მის წარმომადგენლებთან უხდებოდათ. მართალია ხანმოკლე იყო ეს დრო, მაგრამ, თვალსაჩინოდ დაანახვა ყველას, რომ, იმ ხანად მაინც, ახალი ღვინო ისევ ძველ ამოვრებულ ტიკებში იყო ჩასხმული, ისევ ძველი ფსიქოლოგია იყო გამეფებული და ჭიათურის შავი-ქვის უმთიერესი კითხვა,—რკინის გზაზედ ტარიფის დაკლება,—ვერ მოხერხდა და ვერა...

ჭიათურის შტო ზედ საგანგებოდ შემოღებულ ტარიფის შესახებ საინტერესო მასალები უნდა ინახებოდეს შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს» არქივებში. ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს, რომელიც, თავის დროზედ, საყოველთაოდ იყო გამოქვეყნებული.

როგორც ცნობილია, ჭიათურის რკინის-გზის შტო 1 იანვარს 1895 წ. გაიხსნა. დღიდან მისი გახსნისა რუსის მთავრობამ ჩვენებურს შავ-ქვას ერთიანი ტარიფი გადაუწყვიტა: თითო ფუთის გადასახადით 10 კაპ. ჭიათურიდან—შორაპნამდე—ე. ი. 38 ნახ. ვერსის მანძილზედ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ნორმალური ტარიფი სხვა მონათესავე საქონელზედ დახლავდებით ერთის მეორემოდანახუთედი კაპ. იყო, თითო ფუთ—ვერსზედ, დავინახავთ რა საშინელი სიმძიმით უნდა დასწოლოდა ჭიათურის მადანს ეს, საგანგებოდ მისთვის გამოგონილი გადასახადი. რუსის მთავრობამ კარგად იცოდა, რასაც სჩადიოდა. მისი საზრუნავი იყო, რაც შეიძლება მალე გამოეტანა უკან. ჭიათურის შტოზედ გაღებული ხარჯი, და მართლაც, ამოდენა გადასახადის საშუალებით, მან რამოდენიმე წლის განმავლობაში დაიბრუნა ყველა დახარჯული ფული და მალე აუარებელ წმინდა მოგების მიღება დაიწყო თავის ხაზინისთვის; ასე რომ ადგილობრივი მრეწველობის წინ წასაწევით არავითარი მსხვერპლი არ გამოუღია.

რკინის-გზის შტო 1895 წ. გაიხსნა და უკვე 1897 წ. მოსთხოვეს შავი-ქვის მრეწველებმა მთავრობას ამ უზარმაზარი ტარიფის დაკლება, რომელსაც მრეწველობა სიკვდილისკენ მიჰყავდა. აქ მაშინდელი მთავრობის ყურადღება ერთმა ახალმა გარემოებამ მიიპყრა, რომელმაც მასაც კი დაანახვა, რომ თუ შევღავათი არ მისცემოდა, ადგილობრივი მრეწველობაც ჩაკვდებოდა და მით რკინის-გზაზედ დახარჯული ფულიც ეკარგებოდა ხაზინას. ეს ახალი გარემოება—მსოფლიო ბაზარზედ ორი დიდი კონკურენტის გამოსვლა იყო. სწორედ 90-იან წლებში გამოჩნდა ბაზარზედ ინდოეთის და ბრაზილიის შავი ქვა, რაც მძლავრ მეტოქეობას უქადადა ჩვენს ჭიათურის მადანს. მართალია, იქაური მადნები ღირსებითაც და რაოდენობითაც უფრო დაბლა იდგა ჭიათურისაზედ, მაგრამ მაინც საფიქრებელი იყო, რომ ამერიკის კაპიტალი—ბრაზილიაში და ინგლისის—ინდოეთში





მძლავრ ორგანიზაციებს მოაწყობდნენ მადნის ბაზარზედ გამოსატანად, და უმაღლ მოსპობდნენ ასეთ მოუწყობელ საქმეს, როგორც მაშინ ჩვენი ქვეყნის ეს სამთო-მადნო მრეწველობა იყო.

სხვა რომ არა ითქვას რა, ისიც კმარადა, რომ მაშინ როდესაც ჩვენებურ ქვაზედ 38 ნახ. ვერსზედ გადასახიდათ ტარიფი 10 კაპ. იყო ფუთზედ, ბრაზილიის მადანს, 485 ვერსის მანძილზედ, ეს გადასახიდა მხოლოდ 4,65 კაპ. ედვა, ე. ი. ერთს შაურზედ ნაკლები, თითქმის 16-ჯერ უფრო გრძელ მანძილზედ. რუსის მთავრობის დიდი წყალობა ის იყო, რომ ტარიფის ძლიერ-ძლიერობით 7 კაპიტი. დაიყვანეს. მიუხედავთ ამ დაკლებიხა ჩვენებური ტარიფი მაინც რამდენჯერმე უფრო მეტი იყო ვიდრე კონკურენტების. სწორედ აქ უნდა ვეძებოთ აღსნა იმისი, თუ რათ ხდებოდა კონკურენტების გამარჯვება ჩვენზედ და რატომ არ მოხდა ჭიათურის მადნის საზღვარ-გარეთ გატანა იმ რაოდენობით, როგორც ეს ეკადრებოდა მის ღირსებას. მის გეოგრაფიულ მდგომარეობას და დამუშავების სიადვილეს. ფართილია. შავი-ქვის დამუშავება ჩვენში უკვე 1879 წ. დაიწყო. მაგრამ მსოფლიო მნიშვნელობა მას მხოლოდ რკინის-გზის შტოს გაყვანის შემდეგ მიენიჭა. მაგრამ ეს მნიშვნელობაც, რუსეთის მთავრობის აღმკრძალავი სატარიფო პოლიტიკის მეოხებით, პოლიტიკის, რომელიც საგანგებოთ იმისთანა რაიონებისათვის იყო გამოგონილი, როგორც საქართველოა, უადრესად მცირდებოდა. და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჭიათურის მრეწველობის სადარაჯოზედ თუ შავი-ქვის მრეწველობის ორგანოები არ მდგარიყო. იგი ისევე ჩაილუპებოდა, როგორც არა ერთი განაპირა რაიონის მრეწველობა იყო ჩაკლული.

ტარიფისათვის ბრძოლა დაიწყო 1897 წელს და თვით-მპყრობელების მთავრობა ისე ჩაბარდა თავის პატრონს, რომ არას გზით არ მოხერხდა რამე შესამჩნევი შეღავათი მისცემოდა ჩვენს ადგილობრივ მრეწველობას.

როდესაც კერენსკის მთავრობა გამოცხადდა, შვექვანზედ ტარიფი მაინც 5 ნახ. კაპ. იყო და აი იმ დროინდელმა მმართველებმა ამ ტარიფის გადიდებაც მოიწადინეს 200 პროც-ით.

ეს დრო უმძიმესი დრო იყო ჭიათურის მრეწველობისათვის. მსოფლიო ომმა სულ მოსპო ჩვენი მადნის საზღვარ-გარეთ გატანა. ერთად ერთი გასატანი ბაზარი რუსეთიდა დარჩა, რომელიც სამხედრო მიზნებისათვის აუცილებლად საჭიროებდა მარგანცს. სწორედ ამ მოსახრებით აღძრა შავი ქვის მრეწველობა «საბჭომ» სატარიფო უწყების წინაშე თხოვნა, რომ არსებული 5 ნახ. კაპ. ტარიფი არამც თუ არ ყოფილიყო აწეული, არამედ დაკლებულიყო, რათა გატანის პირობები გათანასწორებულყო რუსეთში მდებარე ნიკოპოლის შავი-ქვის მადანთან. ამ შემთხვევაში «საბჭო» პრივილეგიებს კი არ თხოულობდა, არამედ სულ უბრალო სიმართლეს, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ფარგლებშივე მდებარე რაიონების გათანასწორებას.

მართლაც და გულ აღმამფოთებელი ამბავი ხდებოდა. ტარიფების გამწესებელი მთელს მაშინდელ

რუსეთის საზღვარზედ ერთი და იგივე ხელისუფლება იყო. მის მოვალეობას შეადგენდა რომ ყველა რაიონები დაახლოვებით ერთსა და იმავე პირობებში ჩაეყენებინა და ამის მაგივრად აი რა სინამდვილეს ეფუთებოდა ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობა საბჭო.

ტარიფების ახალი აწევა 10 ივნისს 1917 წელს მოხდა, ამბობს ჭიათურის საბჭო ერთ თავის მოხსენებაში; ამ აწევამ ის შედეგი მოიტანა, რომ ჭიათურის მადნის ღირებულობა იუზოვში ფუთზედ 95 კაპ. გახდა, მაშინ როდესაც ნიკოპოპოლის მადნისათვის ეს ღირებულობა 53 კაპე იკია. ამ პირობებში შეუძლებელი ხდება ჭიათურის მადნის იმ რაიონში გაყიდვა. თუ ჭიათურის და ნიკოპოლის მადნების პირობები გათანასწორებული იქმნება, მხოლოდ ამით ეძლეოდა შესაძლებლობა ჩვენებურ მადანს რუსეთის ბაზარზედ გასულიყო და ეს მისთვის აუცილებელი იყო, რადგან სხვა ბაზარი ომიანობის გამო დახშული იყო.

ამ არგუმენტის სიცხადე და სიმწვავე რომ უფრო ნათლად გამოცხადდეს, საჭიროა გავიხსენოთ, რომ რუსეთის მეტალურგია ყოველთვის საჭიროებდა ჭიათურის მადანს, მეტადრე პიროქსილს. რუსის მთავრობის ჩვენდამი მამინაცვლურ საეკონომიო პოლიტიკამ ის ნაყოფი მოუტანა თვით რუსეთის მეტალურგიას, რომ ჩვენებური პიროქსილი რუსეთში პირდაპირ კი არ მიდიოდა, არამედ მოხვეულის გზით—გერმანიიდან, რისთვისაც რუსეთის ქარხნები ათწილად მეტსაც ხარჯს იხდიდნენ უცხოეთის წინაშე; ცხადი იყო, რომ რუსეთის ცენტრალური მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა განაპირა ქვეყნები დაეჩაგრა და მხოლოდ, ევრეთ წოდებულ, შიდა რუსეთის მრეწველობისათვის გამოეჩინა თავისი «მამობრივი» მზრუნველობა.

სწორედ ამ გარემოებაზედ მიუთითა ჭიათურის საბჭომ, სატარიფო უწყებას 1917 წ. და მოითხოვდა ნიკოპოლის რაიონთან პირობების გათანასწორებას? აი, სხვათა შორის, რასტრიქონებს ვკითხულობთ «საბჭოს» ხსენებულ მოხსენებაში:

«უკანასკნელ დროს ტარიფის რაოდენობა კავკასიის მარგანცზე აღკრძალვითი ტარიფის ხასიათს იღებს, მაშინ როცა იგივე ნიკოპოლის მარგანცისთვის მფარველობითი ხასიათისაა. სატარიფო დაწესებულებათა მუდმივი მიდრეკილება, რათა შექმნან ჩვენი განაპირა ქვეყნისთვის უზომოთ მაღალი ტარიფები და ამას გარდა დაადვან მას სხვაგვარი მრავალი გადასახადებიც, ბადებს აზრს, რომ აქ რალაც განსახლებული სისტემა იმალედა, რომლის მიხედვით ხორციელდება განსახდვრულივე ეკონომიური პოლიტიკა. ამ პოლიტიკის გაშუქება, მე ვფიქრობ, მოიპოება კ. ი. ზაგორსკის (სატარიფო კომიტეტის წევრი) წიგნში «ჩვენი რკინის-გზათა სატარიფო პოლიტიკა». ამ წიგნის მე-18 გვ. ავტორი ამბობს, რომ სახელმძღვანელო იდეა ტარიფების გადასინჯვისა იყო აგრეთვე დაცვა ძირითად რუსულ მრეწველობისა განაპირების (ოკრაინი) მრეწველობის კონკურენტციისაგანო.

ამ აზრის დასამტკიცებლად და იმის საილუსტრაციოდ წიგნში მოყვანილია ანსნა, თუ რატომ სა-





ტარიფი კომიტეტმა არ განახორციელა, მაგალითად, ტარიფის შემცირება განაპირა ციმბირის პურზე: თურმე არსებობდა შიში რომ ციმბირის პურისთვის გაადვილება გამოტანისა მსოფლიო ბაზარზე უსათუოდ გააუარესებს ევროპის რუსეთიდან პურის გატანის პირობებს და «ყოველგვარი დაბრკოლება ციმბირის პურის გამოსატანად საერთაშორისო ბაზარზე სასარგებლოა ჩვენი შინაური მიწათმოქმედებისთვის»...

თუ ცენტრის მფარველობის და მისი დაცვის პოლიტიკა არ ზოგავდა ისეთ განაპირას, როგორც ციმბირია, უუქველათ ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის ინტერესები უფრო ადვილათ შეეწირებოდა ნიკოპოლის შავი-ქვის მრეწველობას. განა ამით არ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ წინანდელი განსხვავება ტარიფის 23.39 კაპ. რომელიც არსებობდა ჭიათურის და ნიკოპოლის შავ-ქვანზე, 10 ივნისის სატარიფო ღონისძიებათა გამო აყვანილია 48.91 კაპ. და ახლა განხრახულია ამ განსხვავების კიდევ უფრო გაადიდება, რა თქმა უნდა, არა ჭიათურის შავი-ქვის სასარგებლოდ? ცხადია ასეთი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით კავკასიის შავი-ქვის მრეწველობა განდგურდება, თუ შესადგერი ზომები არ იქნა მიღებული. ეს ზომები სხვადასხვა გვარი სასიათისაა, რამდენათ ის ამ: თათბირს შეეხება. ეს ზომებია—ტარიფის შემცირება ნორმალურ ზომამდის და შემცირება აგრედვე უზომოდ გაზრდილ ხარჯებისა დატვირთვაზე. ამ ზომების მიღებისათვის ვშუამდგომლობ მე შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს სახელით»...

კერენსკის მთავრობის წარმომადგენლებთან ჭიათურის მრეწველებს ამაზე მეტი აღარასდერი საქმე აღარ ჰქონიათ. მეტად ხანმოკლე იყო დროებითი მთავრობის მმართველობა და სხენებული «მოხსენება» უმოდრავთ ჩარჩა პეტერბურგის კანცელარიებში, სადაც იგი ტფილისიდან იყო გადაგზავნილი.

მალე, შავი-ქვის მრეწველობას სულ ახალი დრო დაუდგა. საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა და ჭიათურის მრეწველობას იმ დღიდან უკვე მშობლიურ მთავრობასთან უხდება საქმიანობა.

გათავდა მამინაცვალური ორგული ოპეკუნობა, დაიწყო ხანა, როდესაც ჭიათურის მრეწველობა დიდ ეროვნულ განძათ იყო აღიარებული, რომლის ბუნებრივი დამცველი და მფარველი თვით საქართველოს მთავრობა უნდა გამხდარიყო. არსებითად ეს მფარველობა არც აკლდა შავი-ქვის მრეწველობას. თუმცა შიგადაშიგ, შეცდომებიც იყო და გაუგებრობასაც ჰქონდა ხოლმე ადგილი. ეს არავის აზინებდა, რადგან ყველამ იცოდა, რომ შეცდომების გამოსწორებაც არ იყო ძნელი და არც გაუგებრობის მოსპობა.

იმ მოკლე დროში, ჭიათურის მრეწველობისათვის სხვაც რომ არა გაკეთებულიყო რა, საკმაო ორი დიდი ფაქტის გახსენება, რომლის განხორციელება სწორედ საქართველოს მთავრობის მფარველობით და ნებართვით მოხდა—ეს არის «ქართველ მრეწველთა სააქციონერო საზოგადოების» დაარსება და საქსპორტო საზოგადოების «ჩემოს» წესდების დამტკიცება.

ამ ორი ორგანიზაციის დაარსებით ჭიათურის მრეწველთა «საბჭომ» და ქართველმა მრეწველებმა ღირსეულად დაავიჯინეს გიორგი ზდანოვიჩის მიერ დაწყებული, შავი-ქვის მრეწველობაში ჩაბმულ ძალების გაერთიანება.

თუმცა, როგორც ვიცით, «ჩემოს» გაჩენამდეც არსებობდა უკვე ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა გაერთიანებული კრებული და მისი მუდმივი ორგანო «საბჭო», მაგრამ, ეს იყო გაერთიანება მრეწველობაში, შედარებით, მეორე ხარისხიანი კითხვებისა. უმთავრესი მხარე შავი-ქვის მრეწველობისა ჯერ კიდევ გაერთიანების გარეშე რჩებოდა—ეს იყო მადნის უცხოეთში გატანა და იქ მისი გაყიდვა.

ყველაზე უფრო უმტკივნელო მხარე ჭიათურის მრეწველობისა სწორედ ეს იყო. იგი იყო უმთავრესი მიზეზი მრეწველების დაქსასულობისა, ერთმანეთში ბრძოლის და ხშირად მტრობისა, უცხოეთის ბაზარზე ცუდი ნაწარმების გატანის (რაც ისე უტეხდა სახელს საქართველოს უმთავრეს სამთომადნო მრეწველობას), ფასების დაცემის, უცხოელ კონკურენტების ხშირად ჩვენზე გამარჯვების და სხვა...

ამჟამად გადაჭრით შეიძლება იყოს აღიარებული, რომ მხოლოდ სახ. «ჩემოს» დაარსებით მოხდა ყველა ამ მავნე მოვლენათა მოსპობა. სწორედ სასწავლი მოხდა ჭიათურის მრეწველობაში.

თუ წინად შავი-ქვის გამტანი ყოველი ფირმა თავის საკუთარ საიდუმლოთ სთვლიდა და სასტიკად მალავდა, რა ფასებში იყიდებოდა მადანი, რა ფასებში ქიარობდა გემებს, რა ხარჯებს ეწეოდა ტვირთვა-გადმოტვირთვაში და სხვ.; არავის ატყობინებდა მყიდველების სახელებს, ან მალავდა ყველასაგან, რა ღირსების საქონელი გაქონდა გასაყიდათ, ეხლა, სახ. «ჩემოს» დაარსების შემდეგ, ყოველი მრეწველი, ყოველი ფირმა—პირადად გახდა დაინტერესებული, რომ რასაც წინეთ ფარულად ახერხებდა, მადნის ექსპორტის საქმეში, ამიერიდან საჯაროთ ყოფილიყო გამოტანილი, რათა არასდერი შეცდომა არ ყოფილიყო დაშვებული: არც ფასების საკითხში, არც გემების დაქირავებაში და არც ბაზრის მოთხოვნილებათა შეფასებაში...

ყველაზე დიდი მიღწევა კი ის იყო, რომ ყველა ცდილობდა საუკეთესო მადანი ჩაებარებინა, გაყიდვის პირობები პირნათლად შეესრულებინა, და ყოველი თალღობა ამ საქმეში წესდების ძალით სასტიკად ისჯებოდა.

თვით წესდება «ჩემოსი» დიდის სიფრთხილით იყო შედგენილი. მიხედვით იმ პრინციპების, რომელიც დაწვრილებით დამუშავდა მრეწველთა საბჭოს კრებებზე, ექსპორტის საქმეში კარგა ჩახედულ მრეწველთა თანადასწრებით.

ჩვენი მსოფიანი მოღვაწის, აწ გარდაცვალებულ ნიკო ნიკოლაძის გვირგვინში ერთ საუცხოო ყვავილად გამოიყურება სახ. «ჩემოს» წესდებაც, რომელიც, დაბოლოს, მისგან იყო შედგენილი.

სახ. «ჩემომ» მალე მეორე დიდი საქმეც მოაგვარა: საზღვარ გარეთ თვისი მუდმივი ორგანო დააწესა, რომელსაც «ჩემოს» უზენაესი კონტროლის ქვეშ უნდა ეწარმოებინა უცხოეთში მადნის გაყიდვა, კონკურ-



რენტების შესწავლა, ბაზრის მოთხოვნილებათა უკეთესად დაკმაყოფილება, გემების პირნათლად დაქირავება და სხვა.

ყველა ამას გარდა საზ. «ჩემოს» საპატიო ალაგი უკავია ყველა იმ დაწესებულებათა შორისაც, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ზრუნვა წარმოებაში ჩაბმულ მუშების მდგომარეობის და ყოფის გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ მალე ჩვენს ქვეყანას შავი დღეები დაუდგა, საქართველოს დამოუკიდებლობა მოისპო და ყვე-

ლასთვის აშკარა გახდა, რომ გაღვივებული რუსეთის იმპერიალიზმი არ დაინდობდა არც საზ. «ჩემოს» და არც მის საზღვარ-გარეთელ ორგანოებს. და აკი არც დაინდო!..

აქ იწყება შავი-ქვის მრეწველობის ახალი ხანა, სადაც თარეშობა ხვდებათ ბუმბერაზ სპეკულიანტების წარმომადგენელს ჰარრიმანს და ნაცარ-ქექია მოდებამე კარპეს!

(დასასრული იქნება)

თ უ რ ძ მ ს ტ ა ნ უ ი.

(წერილი მეცხვრე)

ამას წინად, გასული წლის დეკემბერში, ტაშკენტის შუა-აზიის კომუნისტურ უნივერსიტეტში დისკუტი გაიმართა ამ საგანზე—«ოკტომბერი თურქესტანში». ტაშკენტის «პრავდა ვოსტოკა» (12-9-ის) იძლევა დისკუტის ანგარიშს, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა და ასეთი ადგილი მოყავს მოხსენებლებს: «წემეტია ლაპარაკი ადგილობრივ მკვიდრთა აქტივობაზე ოკტომბრის დროს თურქესტანში. დამოკიდებულება რუსებთან, მათ შორის პროლეტარებთანაც, როგორც კოლონიზატორებთან, დარჩა წინანდელი».

ესვე სიტყვა დისკუტზე გამოსულმა ორატორმა ზაბიროვმა: «არ არსებობდა არავითარი მკვიდრო კავშირი რუსებსა და ადგილობრივ მუშა-გლეხობას შორის 1917 წ.»

საკითხი მკვიდრთა მონაწილეობის ოკტომბრის ამბებში მთავარი სადავო საგანია ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის. მე, რომელმაც დაიწყო ანტიბოლშევიკური კამპანია, ვამტკიცებდი, რომ ჩვენს ხალხს არა თუ მონაწილეობა არ მიუღია ოკტომბრის რევოლუციის, იგი მტრულად იყო განწყობილი რევოლუციის შემოქმედის—რუსის მუშების მიმართ. ბოლშევიკები კი ამბობდნენ სულ წინააღმდეგ: ოკტომბერი განხორციელდა თურქესტანში მხოლოდ მკვიდრ თურქესტანელების აქტიურობის მონაწილეობით და ჩვენ—ყ. ავტონომისტები (ნაციონალ-რევოლუციონერები) გავაძევა საკუთარ ქვეყნიდან ოკტომბერში გამარჯვებულმა მუსულმანურმა პროლეტარიატმა.

საჭირო იყო თერთმეტი წელი, რომ ბოლშევიკებს თვითონ აღიარებიათ სიმართლე. თურქესტანელებს არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია ოკტომბრის გადატრიალებებში და მთავრობის შეცვლას ისე ვუტყვევოდით, როგორც ერთი მჩაგვრელის ადგილას მეორეს მოსვლას.

მომხდარმა ამბებმა გაამართლეს ჩვენი აზრი, როგორც კი ძალაუფლება ხელთ იგდო, თურქესტანის საბჭოების კრებამ (1917 წ. ნოემ.) გამოაცხადა: «შეუწყნარებელია, ადგილობრივ მცხოვრებლების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ რევოლუციონურ მართვლობის ორგანიზაციაში». ერთი სიტყვით რუსის მუშებმა და ჯარის-კაცებმა, რომელნიც ნახევარ პროცენტს შეადგენდნენ, მთელი თურქესტანის ბატონ-პატრონებად გამოაცხადეს თავისი თავი.

რომ ამას უსაფუძვლოდ არ ვამბობ, დავიმოწმებ ბოლშევიკს გ. საფაროვს, რომელიც მოსკოვის «პრავდაში» (20.6.20) სწერდა: «თურქესტანში დღემდის ის შეხედულება გავრცელებული, რომ იქ პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება შეუძლია მხოლოდ რუსს».

მსოფლიო ისტორიაში ვერ ნახავთ ისეთი სისასტიკის მაგალითს, როგორსაც იჩენდნენ ბოლშევიკები ჩვენი ხალხის მიმართ. დავასახელებ მხოლოდ რამდენსამე და იმასაც ამოვკრეფ ბოლშევიკურ პრესიდან.

წემო დასახელებული საფაროვი სწერს იმავე წერილში: «რათა თავი დაეხსნა საბჭოთა თვითმპყრობელის გერჯოტის მხეცობისაგან, აიყარა და სხვაგან გადასახლდა მთელი ხალხი (ყირგიზ-ყაზახები) და ამ აყრა-გადასახლების დროს დაიღუპა ერთი მილიონი ადამიანი».

იგივე საფაროვი სწერდა 1921 წ. «პრავდაში», რომ ყირგიზებს ხოცავდნენ, როგორც ცხვრებს, და წვავდნენ ცოცხლებს...

მარტო «საშიშნო ბოლშევიკად» რად ღირს, რემელსაც ბოლშევიკები მოაწყობდნენ ხოლმე მუსულმანების წინააღმდეგ. ოფიციალურის ცნობებით, მარტო 1917 და 1918 წლ. ასეთ ბოლშევიკებისაგან დაიხოცა მილიონ ასთონმეტი ათასი მკვიდრი. \*)

რ. ს. ფ. ს. რ-ის კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ესხანდელი მოადგილე თურქესტანელი ტურარ რისკულოვი, 1919 წ. თებერვალში იმ კომისიის თავმჯდომარე იყო, რომელსაც დახმარება უნდა აღმოეჩინა თურქესტანის დამშეულ მკვიდრთათვის, და რევოლუციონურ ტრიბუნალის და ც. ა. კომიტეტის შეერთებულ სხდომაზე განაცხადა, რომ საბჭოების აღმ. კომიტეტი არ თანაუგრძნობს დამშეულთათვის დახმარების აღმოჩენას და წინადადება შეიტანა, რომ საგანგებო გადასახადი დაედვთ შეძლებულ კლასებზე დამშეულების სასარგებლოდ. რისკულოვის წინადადება უარყოფილ იქმნა და შიმშილთან ბრძოლა მიანდევს იმ საბჭოებს, რომლებიც ამ საქმეს სრულებით არ თანაუგრძნობდნენ.

ტურარ რისკულოვმა 1925 წ. გამოსცა წიგნი—მასალების კრებული—სახელად «რევოლუცია და თუ-

\*) ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ შიმშილისაგან გაცილებით მეტი დაიხოცა.





რქესტანის მკვიდრნი». ამ წიგნის წინასიტყვაობის მეთორმეტე გვერდზე ნათქვამია: ახს. ტობლინიმა (თურქესტანის ბოლშევიკების ლიდერი, თურქესტანის ც. ა. კ. თავმჯდომარე) ც. ა. კ.-ს ერთ ერთ სხდომაზე სთქვა, რომ ყირგიზები, როგორც ეკონომიურად სუსტი ხალხი, მარქსისტულ შეხედულობით, მაინც უნდა გაწყდნენ, ამიტომ უმჯობესია ფული დამშეულებს კი არ მოვანხაროთ, არამედ მით სახდერები გავამაგროთ...

აი ამას ვუწოდებ «საშიშნო ბოლშევიკებს!»  
 ურიცხვი მაგალითი შემეძლო დამესახელებია, თუ როგორ გულცივად ამოხოცეს ბოლშევიკებმა მთელი რაიონების მკვიდრნი, თითქმის მათი მიწანი ყოფილიყოს მთელი თურქესტანის გაწმენდა ადგილობრივ მცხოვრებლებისაგან.

რისკულოვს მოყავს თავის წიგნში (გვ. 100-101) ნამანგანელის უზბეკის მოხსენება: «მე თვითონ მუშათაგანი ვარ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან კომპარტიაში ვირიცხები... ამხანაგებო, ჩვენ ღარიბი მუსულმანები, როგორც სისხლიან ნიკოლოზს დროს პირუტყვებდა ვითვლებოდით, ასე ვართ ახლაც პროლეტარულ მთავრობის ხელში... უარესი ამბავიცაა დღეს. მდიდრებისგან ფული უნდა შევკრიბოთ, და ნამანგანის 84 ათას მცხოვრებს ტყავი გავვაძერეს. რაც დუქნებსა და სავაჭროებში საქონელი მოიპოვებოდა, სულ გაიტაცეს... რას შვრებოდნენ პროლეტარულ მთავრობის წარმომადგენელი? ცალკე გაიყვანეს თავიანთი რუსები, დაიცვეს, კარგად აჯამეს, შემოსეს, ნატაცები, სხვისი აბრეშუმის ნაქსოვებით და სამკაულებით მორთეს. ჩვენ მუსულმანებს გვაჯამეს რამე? არა. ჩავვაძვეს რამე? არა. რამე რომ ექმათ, ათასობით და ათი ათასობით არ დავიხრცებოდით შიმშილისაგან. ჩვენს სახლებში მარტო დაფლეთილი საბნები დარჩა. სხვა აღარაფერი!...» ასე ამბობს მუსულმანი-კომუნისტი. ადვილად წარმოსადგენია, თუ რას იტყოდა არაკომუნისტი მუსულმანი.

არც ერთს იმპერიალისტურ, კოლონიალურ მთავრობას არ ჩაუდენია იმის მესადი, რასაც სხადიდნენ ჩვენში ბოლშევიკები მსოფლიო სოციალური რევოლუციის სახელით! იმპერიატორების ყოფილი არმიის თავით ფეხამდე შეიარაღებულმა სალდათებმა ჩვენი ხალხის დასალუბავად აღმართეს დიქტატურა. მე არა ვარ ბრმა ნაციონალისტი—პირიქით ზოგი ამხანაგი რუსოფილობასაც კი მწამებდა, და რასაც ვამბობ, ნამდვილ ფაქტებზე ვამყარებ.

რისკულოვი თავის მოხსენებაში 1919 წ. მარტში ცთილობდა, შედავებოდა ზოგიერთ რუსის ბოლშევიკის «გეგმას», რომელთაც უნდოდათ თურქესტანში საბჭოების ხელისუფლების დამყარება ადგილობრივ პროლეტარიატის ძელებზე, და ამავე დროს თვითონვე ადასტურებს, რომ «დაღუპულმა მუსულმანებმა გადაარჩინეს საბჭოები, ვინაიდან—ამბობს რისკულოვი—ისინი (შიმშილისაგან დაღუპულები) რომ მოსულიყვნენ, აღმართულის ხელებით და მოეთხოვათ თავისი ხვედრი, ქვა-ქვავზე აღარ დარჩებოდაო. ერთი სიტყვით, თუ საბჭოებს ბატონობა შერჩათ, მხოლოდ იმიტომ რომ იმდენი მუსულმანი დაიღუპა შიმშილისაგან!

რომ გავათავოთ ეს საშიშელი ამბები, ერთს ადგილს კიდევ ამოვწერ რისკულოვის წიგნიდან (გვ. 78): რამდენი დაიხოცა მკვიდრი მუსულმანი შიმშილისაგან და რამდენი დარჩა? რისკულოვი გვიპასუხებს: სრულიად სწორი ცნობები არ გვაქვს, მაგრამ მრავალი მახრიდან მიღებული ცნობები გვეუბნებიან, რომ მკვიდრთა თითქმის ერთი მესამედი გაწყდა შიმშილისაგან.

«თითქმის ერთი მესამედი»—ეს ნიშნავს, რომ დაიღუპა სამ მილიონზე მეტი მკვიდრი. და უსაშინლესი აქ ისაა, რომ ამდენი ადამიანი დაიღუპა არა ბრძოლაში ბოლშევიკებთან, არამედ როგორც უძლიერი მსხვერპლი რუსის ბოლშევიკების დიქტატურისა!

ამ ეროვნულ გარემოებას, იმას—რომ რუსის სალდათებს ისე სწყუროდათ ჩვენი სისხლი,—ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ!

სრულიად ნაციონალისტობა არაა საქირო იმიტვის, რომ როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ჩვენი და რუსების მომავალ ურთიერთობაზე, ადამიანმა გაიხსენა და ჩაუფიქრდეს ჩვენი ხალხის ზღვა სისხლს, ჩვენი მოძმეების გვამების გორებს, რომლებიც შეიწირა რუსების ბატონობამ თურქესტანში...

ვნახოთ ის ზნეობრივი დამცირებაც, რომელიც მოგვაყენა საბჭოების ხელისუფლებამ თავის განმტკიცების შემდეგ.

განა ვერობის ახალშენების იმპერიალისტური პოლიტიკა დაგისახელებთ იმის მსგავს რასმე, რასაც ადგილი ჰქონდა ტაშკენტში 1925 წ. იანვრის 21? ამ დღეს, ლენინის გარდაცვალების მოსაგონებლად, მთავრობის განკარგულებით მთელი მუსულმანობა მუხლებზე დააჩოქეს.

აი როგორია საბჭოების ბატონობა თურქესტანში. არაფერს ვიტყვი მის რეფორმებზე. ყოველი მთავრობა, როგორც უნდა იყოს, იძულებულია რეფორმები მოახდინოს, მოაწყოს სახელმწიფო გამგებლობის აპარატი; მისი საკუთარი ინტერესი მოითხოვს, იზრუნოს ქვეყნის კეთილმოწყობისათვის. ხლო ყოველ ასეთს მუშაობას ჩვენ უნდა მივუდგეთ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ საჭიროების თვალსაზრისით. ჩვენ წინამდგენი ვართ ყოველგვარ ეროვნულ კარჩაკეტილობის და მიუკარებლობის. «ეროვნული საჭიროება» ჩვენ ასე გვესმის: ყოველ ქვეყანას უნდა შეეძლოს როგორც დამოუკიდებელ ეროვნულ ერთეულს მიიღოს მონაწილეობა ერების პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობაში და უნდა მოაწყოს თავისი ცხოვრება არა სხვათა საჭიროების, არამედ საკუთარ ინტერესებისათვის. ერების სხვადასხვა ინტერესთა შეთანხმება შესაძლებელია. მაგრამ ყოველის უწინარეს საჭიროა, რომ ყოველმა ხალხმა მოიპოვოს ეროვნული სახე, რომ ის ლაპარაკობდეს და მოქმედებდეს თავისუფლად, მას მიენიჭოს თავისთავის სუვერენობა.

საბჭოების რეფორმების განხილვა ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმეიერა. ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

მუსტაფა ჩეკაძე.

შეცთომის გასწორება: წინანდელ წერილის თავში დაბეჭ.: 1919 წ. რევოლუცია. უნდა იყოს 1917 წ.



უცხოეთის მიმოსილვა.

1928 წ.

კვლევის პაქტი და განიარაღების საკითხი

1928 წლის საერთაშორისო მატინანში კვლევის პაქტი, ომის კანონ გარეშე გამოცხადებზე, უთუოთ პირველ ალავს დაიჭურს. ეს პირველათაა, როცა განათლებულმა კაცობრიობამ ხმაშალა განაცხადა, რომ ომი, როგორც საშუალება ნაციონალურ პოლიტიკისა, ყოვლად დაუშვებელია და მიუღებელი. კვლევის პაქტის ერთად ერთი პრაქტიკული დებულება ის არის, რომ სახელმწიფოები არას გზით არ უნდა მიმართავდნ იარაღს ურთიერთ კონფლიქტების გადასურვლათ და ამის მაგიერ უნდა ხმარობდნ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიან საშუალებებს. რა თქმა უნდა, ეს მორალური დებულება დეკლარაციას არსობს ომებს. მაგრამ მასზე სახეიშო ხელისმწერა თავის თავის პატივისმცემელ სახელმწიფოს მიერ რამეს ნიშნავს. არიან, შეიძლება, ხელისმომწერთა შორის ისეთებიც, როგორც მოსკოვი, რომელმაც გაშრობაც არ დააცალა მის ხელმწერილს საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულებას და ვერაგულათ დაარღვია იგი, მაგრამ ეგ ხომ გამონაკლისია, ისე როგორც თვით საბჭოთა მთავრობა, ცნობილი თავის უპირობით და უკუღმართობით.

ომების საბოლოო მოსასპობათ მეორე საშუალება არსებობს-განიარაღება, და ეს კითხვა დიდი ხანია ერთა ლიგის საზრუნავ საგანს შეადგენს. გასულმა წელმა ამ მხრივ სრულიად უნაყოფოთ ჩაიარა: ამბობენ იმასაც, რომ წინსვლის მაგიარ უკან გადადგეს ნაბიჯიო. ერთა ლიგის წლიურ ყრილობაზედ ერთგვარი ჯანყიცი კი მოხდა სექტემბერს. პატარა სახელმწიფოების დელეგატები მოურიდებლათ ესმოდენ თავზე დიდ სახელმწიფოებს-თქვენი ბრალია, რომ განიარაღების კითხვა გაიყინაო. მაშინ გამოჩნდა ქენევის საჯარო დებატების მნიშვნელობა, როცა დიდი სახელმწიფოთა დელეგატები იძულებული გახდენ მოეზოდინებიათ და დაპირება მიეცათ, რომ არა უგვიანეს 1929 წ. დასაწყისისა განიარაღების კომისია შეიკრიბებია. შემდეგ გამოქვეყნდა საფრანგეთ-ინგლისის სახლვაო კომპრომისი და ამან სულ მთლათ არია საქმე! პირველ ყოვლისა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაცხადეს პროტესტი ამ კომპრომისის წინააღმდეგ და ამტყუნებდენ საფრანგეთ-ინგლისს: თქვენ სახეში გქონდათ ჩემი ფლოტის დაუძღურებაო. ასეთ პირობებში განიარაღების კომისიის ნაადრევი მოწვევა ფიასკოდ უნდა დამთავრებულიყო და ამიტომ იგი დანიშნეს 15 აპრილისათვის, თარიღი, როცა ჰუფერი თეთრ სახლში იქნება შესული.

ევროპა და აქმრტოკა

ჩვენ ვსთქვით ჰუფერის თეთრ სახლში შესვლას უცდიანთქო, და ეს კი დამახასიათებელია გასული წლისათვის: არას დროს ისე ნათლათ არ უგრძენია მთელ მსოფლიოს ამერიკის სიძლიერე და ბატონობის მიდრეკილება, როგორც შარშან! თუ ძველათ მარტო გვირგვინოსნებს ჰქონდათ ვეტოს უფლება, დღეს ამ იარაღით აღჭურვილია ვაშინგტონი, და ისიც არა ერთ რომელსამე პარლამენტის, არამედ მთელი მსოფლიოს მიმართ. არ არის ისეთი კითხვა

საერთაშორისო, ზოგჯერ საშინაო ხასიათისა, რომლის გადაწყვეტა შეიძლებოდეს უვაშინგტონოთ.

და ეს სიმძიმე ყველაზე უწინ იგრძნო ინგლისმა, ზღვათა ბატონმა. მან ეს ბატონობაც კი დასთმო და შესთავაზა ამერიკას თანასწორობა ფლოტისა. მარა გემების ზომა-ძლიერებაში ვერ შეთანხმდენ და ეს არის მთავარი მიზეზი განიარაღების საკითხის გაყინვისა. ამ მდგომარეობამ გიმოიწვია ინგლისის საგარეო პოლიტიკის ერთგვარი გადახრა ევროპისაკენ. ისტორიას ბარდება ძველი თეორია საკუძმლო იზოლიაციისა, აქედან ცდა უფრო მჭიდრო დაახლოვებისა საფრანგეთთან, აქედან ლამანშის დვიარების გათხრის გამოცოცხლება ამ უკანასკნელათ.

მაგრამ უფრო დიდი შედეგებიც არის მოსალოდნელი. ინგლისი ეხლა უფრო დაინტერესებულია, ვინემ ოდესმე, რომ ერთა ლიგა უფრო რეალური ფაქტორი გახდეს და გადაეღობოს ამერიკის მსოფლიო დომინაციას. ევროპას ეკედლება ამ კითხვაში თვით ამერიკის თითქმის ყველა ოცი ლათინთა რესპუბლიკა, სადაც დოლარი, ზოგჯერ ზარბაზანიც, მორიგეს დოქტრინის ნაღბ ქვეშ, თავისუფლათ ნივარდობს.

სანამ ერთა ლიგა გაძლიერდებოდეს, საქიროა გერმანია და საფრანგეთი მორიგდენ საბოლოოთ. თუ ეს არ მოხდა, ევროპის სტაბილიზაცია არ მოხდება. ესლა სწორეთ საუკუნესა პერსპექტივების წინ ვსდგევართ. ჩვენ ვამბობთ საექსპერტო კომიტეტზე, რომელმაც უნდა გადასინჯოს დოუსის გეგმა და განსაზღვროს სარეპარაცია თანხის საერთო რაოდენობა. აქაც პირველი როლი იმავე ამერიკელმა ექსპერტებმა უნდა ითამაშონ, და მათ შორის არის დიდი ფინანსისტი პ. მორგანი, რომელსაც მოუხდება ალბათ გერმანიის ვალის ეგრეთ წოდებულ კომერციალიზაცია. თუ რეპარაციაში მორიგდენ, რენანის ევაკუაციას არაფერი დაუდგება წინ.

მეორე ხაზზედაა გერმანია-პოლონეთის მორიგება. არ არსებობს აღმოსავლეთის ლოკარნო, და პოლონეთი ამიტომ უარყოფით უყურებს რენანის ევაკუაციას. ეს კიდევ უფრო აღეღვებს ბერლინის წრეებს: პოლონეთი ყველგან წინ გვედობებიაო. არ გადაეღობებით-უპასუხებს ვარშავა-თუ დღევანდელ სახლვრებში დაეტყვიო. ამწვევებს აგრეთვე მდგომარეობას ლიტვის პრეტენზიები ვილნოზე და ამ ნიადაგზე ინტრიგები კოვენში.

რომ გავათავოთ, უნდა ვახსენოთ იტალია-ოსმალეთის დაახლოვება, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს, ვინემ გარეგნულათ სჩანს, აღმოსავლეთ ხმელთა შუა და შავი ზღვების ხალხებისათვის. ამ დროებით უნდა აღვიწინოთ, რომ იტალია-ოსმალეთის თვადაუსხმელობის და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება ფანტავს იმ ხმებს, თითქოს ანგორასა და მოსკოვს სამხედრო კავშირი შეეკრათ საიდუმლოთ.

ბ. ხ. რ. კ.

ევროპაზე ბასის დროს გამოგვჩნა ს.ს.რ.კ., რომელიც თუმცა გეოგრაფიულათ ევროპას ეკუთვნის, მაგრამ პოლიტიკურათ აზიისკენ მიიქაჩება! ამიტომ დაჰკარგა მან ალბათ თავისი პირვანდელი სახელიც.



ეს კიდევ არაფერი, სხვაფერად რომ კარგათ მიდიოდეს მოსკოვის საქმე. გასული წელი უემშარბიტათ ვერ იყო ბედნიერი მისთვის. მოუსავლობა და შიმშილი, მანიფაქტურის ნაკლებობა და სიშიშვლე, უმუშევრობა და უსუფთაობა, ჩერვონეცის ფასის მეოთხედზე დასვლა და მრეწველობის არე-დარევა უმწვერალეს ხარისხს აღწევს შინ. როგორია საგარეო მდგომარეობა? უარესი. გერმანიის მრეწველ-ბანკირებმა ერთი კონსორციუმი შეადგინეს ვენშტორგის ასალაგმავათ, ასეთივე კონსორციუმი არსდება ინგლისშიაც იმავე მიზნით, ხოლო დე მონზი მთელს ევროპაში დაკოჟლობს ყველა კონსორციუმების გასაერთიანებლათ და ამას ის დიახაცარ ეძახის მოსკოვის წინააღმდეგ მემართულ ზომას-მხროლდ «მოსამინაურებელიაო», ამბობს. დემონზი კიდევ ითვლება საპატიო თავმჯდომარედ საფრანგეთ-რუსეთის კონფერენციისა, რადგან უკანასკნელი მხოლოდ სახელით დარჩა, ხოლო მისი ოქმები ვირთხების სახრავათ იქცა. რაც შეეხება საქართველოს საელჩოს წინააღმდეგ ბრძოლას, კიდევ დამარცხდა მოსკოვი და ფიქრობენ, ჩვენი ელჩი კრასინის და რაკოვსკის შემდეგ დოვგალევისკისაც გამოიცილისო. ლონდონში დაარსებული ძველი რუსეთის კრედიტორთა საერთაშორისო კავშირი, მის ინიციატორთა განცხადებით, დიახაც არაა საბჭოთა წინააღმდეგ მიმართული, და ჩვენი მიზანია, მანამ არ მივსცეთ მოსკოვს სესხები, სანამ ძველს არ გადაიხდისო. მოსკოვმა არ იწამა ასეთი მეგობრობა და შეუტია გერმანიას-შენი ბანკირები და ჩვენა კრედიტორები რაპალს ხელშეკრულებას არღევენო.

ყველა ამეების პასუხათ სტალინი ზომებს იღებს შინ: ბრძოლა კულაკებს, სპეცებს, მარჯვნივ გადახრას, მარცხნივ გადახრას, გე-პე-უ და მისი ჯანი. ვარეთ: ლიტვინოვი ნოტას ნოტაზე აცხობს და არცხვენს პირ-დაპირ საერთაშორისო დიპლომატიას სტილის სიკვალუციით და არგუმენტაციის სიმკვეთრით. შედეგი არაფერია, მართალია, მაგრამ მით უარესი ევროპა-ამერიკისათვის, არ ისმენენ, თვითონ წააგებენ, აცხადებს ამავათ ჩიჩერინის მოადგილე, თორემ ჩვენ რაო, უკეთესი მდგომარეობა, როგორიც ჩვენა გვაქვს, არ შეიძლებაო. რასაკვირველია, ეს არ უშლის ხელს, გზირები გზავნონ იმავე ევროპა-ამერიკაში სესხის გამოსათხრავათ.

ს ა გ ზ ო ტ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

ძველი გუდა-ნაბადით, ძველებური კბილთა ღრქენითა და სისინით საბჭოთა შაჰ-აბაზიდა ახალ წელში გადაიკლანა, ყაზარმისა და სისხლის სუნიტ გაქლენთილი, კაცოქამიობის ინსტიქტით აცახცახებული წითელი მეკველ ბოქაულის მათრახს მოიქნეს და მობანცალებს. ამ უსინათლო მდევს თავისი რანდობის ისტორია შუბლზე აწერია: სილაჩრე. ამ სილაჩრეს ავსებს საბჭოების დაწვრილმანება, დაქსაქსვა და დაქვეითება. ამიტომ ზედმეტი არაა ვიცოდეთ, თუ რა ხდება საბჭოთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ ხურდავდება მისი წონა, არ რისი მოცემა შეუძლია მას, როგორც უდიდესი პრეტენზიების მატარებელს...

ჩ ი ნ ე თ ი.

ჩინეთმა მეორე სასწაული მოახდინა: ხდება ნანკინის ახალი მთავრობის სტაბილიზაცია და სამოქალაქო ომი ცხრება. პირველი სასწაული მდგომარეობდა ბოლშევიზმ-კომუნისმის ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვარაში. ჩვენ გვეგონა ბოლშევიზმი ახიური მოვლენა იყო, ეხლა კი გამოდის, მისი საბუდე-ბელი აფრიკის ველურებში უნდა ვეძიოთ! ასეა უძველესი ცივილიზაცია, როცა მასზედ დაამყნით ახალ ცივილიზაციას, ნერვი გამოდის უჯანსაღესი.

სუნ-იატსენის სამხრეთმა აჯობა ჩან-სო-ლინის ჩრდილოეთს და სატახტო ქალაქად ნანკინი გამოაცხადა. ორიგინალური კონსტიტუცია შემოიღეს გამარჯვებულებმა: პარლამენტის მაგიერ გუომინ-დანის ყრილობა, მთავრობის მაგიერ ხუთი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარენი შეადგენენ უმაღლეს საბჭოს და მისი მეთაური მარშალი ჩან-კაი-შეკი რესპუბლიკის პრეზიდენტი იმავე დროს.

ნანკინმა უკვე მიაღწია ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და მრავალ პატარა სახელმწიფოთა ცნობას. მან შეკრა და ჰკრავს სახელმწიფოებთან სავაჭრო პირობებს, მიიღო მათგან თავისუფლება ბაყების სუვერენულათ მოწესრიგებისა. ნანკინის წინაშე სდგას ორი საკითხი გადაუჭრელათ: ჯარების რეორგანიზაცია და ფინანსების ძირითადი რეფორმა. პირველისათვის მან მოიწვია გერმანიის, ხოლო მეორისათვის-ამერიკის მრჩეველები.

სიმწვავეს იწვევს მანჯურია. სანამ ჩან-სო-ლინი ცოცხალი იყო, იაპონია კიდევ ახერხებდა მასთან მუშაობას, მაგრამ მის მოკვლის შემდეგ საქმე გართულდა. ჩან-სო-ლინის შვილმა მოჩილება გამოუცხადა ნანკინს და მანჯურია ჩინეთს შეუერთა. ეს აშკარათ ეწინააღმდეგება იაპონიის ვაჭრობა-მრეწველთა ინტერესებს.

ამ რიგათ, ბებერი ჩინეთი ახალგაზრდდება, ნახევარი მილიარდინი ხალხი გარდაქმნის პროცესშია; ავებს სახელმწიფოს ზნალ საფუძველზედ და მისათახულ წლიან კედლების გადაღმა უდიდეს საერთაშორისო ფაქტორათ ქცევას ლამობს. ეს მომავალს ეკუთვნის. შეიძლება კიდევ წაფოხილდეს, მაგრამ 1928 წ. დიდი ისტორიული თარიღია მისთვის.

ტფილისის მაზრის კეთილმოწყობამ წითელი კარბადინის შკოდენთა შორის დიდი ვაივი გამოიწვია. ბოლოს შეთანხმდენ, რომ საქმეს უნდა ეშველოს. მიგრამ არა რეალური ღონისძიებით. არამედ შელოცვითა და ბალახ-ბულახით და შეფუტებით. პირველად ყოვლისა აღმოჩენილ იქნა ის ეშმაკის მოციქული, რომლის მეფხებით საბჭოთა მიღწევები თურმე წყალში ცვივა. ყოველი ახალი განზრახულება იმთავითვე იშვავება და გარჯას სართი ეკარგება. ეს ეშმაკის მსახური კულაკი ყოფილა. რალაც უცნაური თილისმით ის თავს აღწევს სხვადასხვა ბეგარას, ზედმეტი მიწა-ტყე მისია და სილარობის მოწმობაც ხელში აქვს. რაშია საქმე? დღეს შეძლებული თუ შე-




უძლო ორივე წელში მოიხარა, და ქვეყანას მოველი-  
ნა უჯავოდ გააუტაცებელი ხალხი, რომელიც საბ-  
ჭოთა წინააღმდეგობიდან გამოდის. ვსთქვათ, ამ სტი-  
ქის წინ ბოლშევიზმის პატივისცემა უძლურნი არიან, რად-  
გან საკუთარი კუჭის პატივისცემა ყველა მომავლად-  
ვის წესი და ბუნებაა. მაგრამ ეს მცონარე ალაპარა-  
ბი ცდილობენ კულაკობა სხვას გადააბრალონ. მერე  
რა მოხდა? საბჭოთა გლახა ეშმაკობა ადრე გაიგეს.  
რუსეთის ჩამორჩენილ გუბერნიებშიც კი დაინახეს,  
რომ ბოლშევიზმის ტრადიცია თვით კომპარტიის  
ავთმყოფობაა. ამის მაგალითების ჩამოთვლა ათას-  
ერთლამიანი იქნებოდა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ  
ანტი გლეხური მოძრაობის უკბილო იდეოლოგია  
ჩვენში რუსეთის ბოლშევიზმიდან გადმონერგეს. ამას იმას  
შევუსევ და ჩემს ნამდვილ ვინაობას მივაფუძნებ.

როგორც ტფილისის მაზრის მაგალითიდანაც  
სჩანს (2 დეკ. «კომუნ.»), მთელი გადასახადის სიმძი-  
მე ლარებ გლეხობას დასწოლია და წელში ოთხად  
მოუხრია. გადამხდლებიც გაკადნიერებულან და  
ხმის ამაღლება გაუბედავთ. ამგვარი გამბედაობის  
ამბავი მაზრის პატრონთა ინტიმურ მყუდროებაში  
ჭოტის ხმასავით გავარდა. გააჩაღეს კაზუსტიკა და  
დაამტკიცეს, რომ მაზრის მეთაურებს თავი «კუჭუ-  
რეკუ» ქულის დასახურავათ-ლა პქონიათ: ავუსნათ  
ლარებ გლეხობას, რომ საბჭოთა მთავრობა მისი მთა-  
ვრობაა და ტვირთიც იმან უნდა ზიდოსო. მაგრამ  
განა მარტო ბევრა აწუხებს სოფელს? კომუნისტები  
რომ ქუთრიდან ამოფართხდენ, მაშინვე მიწის შესა-  
ხებ დაიცივლეს; დასკუბდენ თუ არა სათავეში, მი-  
წათმოყვობის საკითხი არსებითად მიჩქმალეს, ბანზე  
გაიქნიეს. ზოგან კი ეს საკითხი მთლად მოაკვდინეს,  
შემურეს და მუმიად შეინახეს. კერძოდ ჩვენში მიწის  
სარგებლობის საკითხი მხოლოდ პარტიის წევრის-  
თვისაა გადაჭრილი, ხლო დანარჩენების ინტერე-  
სებს კირიე-ვლეისონი უგალობეს. აი თუ გნებავთ მა-  
გალითი, ერთი უთვალავთავანი (2 დეკ. «კომ.» გვ. 3).  
ს. ზედა-სიმონეთში (ქუთ. მ.) თემის სათავეში ვილაც  
უკლებს ჰყლიათ და არც არაფერი მიუკლია: ზედ-  
მეტი მიწა და უფასო მოჯამაგირე, ქეიფი და მათრა-  
ხის ქნევა. კომუნისტი-კულაკი ნამდვილი ყაენია თა-  
ვის თემში. უკლებას არ იყოს, ის თავის ნებაზე ატ-  
რიალებს მთელი თემის ადმინისტრაციას; პარტიულ-  
ი ბილეთი, კოდექსები, ნაცნობობა, პოლიცია—  
ყველა თავის სამსახურში ჰყავს, ყველას მატყლი უნ-  
და შეაკრიჭოს. გამდიდრება—აი მთელი სამყარო  
მისი გულისა და გონებისა. სოფელში წარმოებუ-  
ლი კლასიური ბრძოლა, რომელიც საბჭოების თავ-  
ზე დამოკლეს ხმალივით ჰკიდია, მიზნად ისახეს  
შრომის თავისუფლების აღდგენას. საბჭოთა სისტე-  
მა ამას უპირდაპირებს ე. წ. კოლექტიური მეურნეო-  
ბის პრინციპს, რომლის ინტორიული მავალითაი მათ  
დაუტოვა მტარვალ არაჩქევმა. მართლაც, გამოაკე-  
ლით კოლექტიურ მეურნეობას შრომის თავისუფ-  
ლება, მოწეულის სამართლიანი განაწილება, და არა-  
ჩქევის ექსპერიმენტებიც ხელთ გაქვთ. ბოლშევიკე-  
ბის ჯანყ-მოდებულ გოგარას ეს სოციალიზმი ჰგონია.  
ავსუსს, სოციალიზმი!..

საბჭოთა სისტემა რუსეთის ისტორიული ტირა-  
ნიის ჯაჭვზე გარდაქმნილი ახალი რეალია. ამ სი-  
სტემაში გაბატონებულია ყველაზე უჯიშო და უტი-  
ფარი პლუტოკრატია, კომპარტიად წოდებული. ჩვე-  
ნიში მას ერთი მთავარი მისია აქვს: ქვეყანა ხელოვნუ-  
რად დაამშობოს, სილატაკის სტაბილიზაცია მოახდი-  
ნოს, რათა მოსპოს ხალხში წინამდევობის გაწევის  
ფიზიკური შეძლება. ამას ემატება გონებრივი უკუ-  
ნეთი, რომელშიაც საბჭოთა ვიწრო მრევლი თავს  
არხეინად გრძნობს, ვინაიდან ბნელ საქმეს სიბნელე  
მოუხდება. ჩვენი ვერი სწორედ იმიტომ აითვალისწუ-  
ნეს, რომ ცოდნის სიყვარულზე ხელი არ აიღო და  
საბჭოთა ბურჟუი თავზე არ მოიხვია. საბჭოთა პი-  
რობებში ჩვენი ერს ვაი-ქუკისავან სჭირს. როგორც  
ერთი დიდი სოციალ-ბოლშევიკი აღიარებს (30 ნოე-  
მბრის «კომ.» გვ. 2), კულტურული მუშაობა სავა-  
ლალ მდგომარეობაშია. ახალგაზნდობის დიდი პრე-  
ცენტი სკოლის გარეშე რჩება; უწიგნო სამკითხვე-  
ლოები დაყრუებულა, სამკითხაოდ გადაქცეულა;  
სკოლებში ნინოშვილის პარტახისებული სურათია.  
ამრიგად სახალხო კულტურის საქმეს საპყრობილის  
კარები მიეხურა. საბჭოთა კასტიური კულტურა კი  
მოგვაგონებს მარჩიელის ჭრაქს, რომლის ჩრდილია  
სინათლეში ბატონობს ცრუმორწმუნეობა, შიში და  
მოტყუილება.

დრო წინ მიდის, ბოლშევიზმი უკან.

ია.



ქართველები საფრანგეთში.

დეკემბრის 25 «ქართველთა საზოგადოების» გამ-  
გეობამ გამართა ქართული შობის ხე, რომელსაც  
მრავალი ქართველი ბავშობა დაესწრო. «შობის ხე»  
მეტად მხიარულად ჩატარდა: სიმღერები, ცეკვა სხვა  
და სხვა თამაშობა ერთიმეორეს მისდევდა. განსაკუ-  
თრებით აღსანიშნავია ბავშვების მიერ წაკითხული  
ლექსები. ბავშვებს დაურიგეს ლექსთა რვეულები და  
სხვა საჩუქრები.

— პარიზში ქართველთათვის ეკლესიის მოსაწყო-  
ბად შესდგა კომიტეტი, რომლის წევრები არიან ქ. ქ.  
ელენე აფხაზისა და ანას. წერეთლისა და ბ. ბ. ზ. ავა-  
ლიშვილი, ილამ. დაღმეკელიანი, იოს. დადიანი, იოს.  
კემულარია, იაკ. ხოჭოლავა, დ. სნიორტაძე, ექ. თა-  
ყაიშვილი და ლ. ზურაბიშვილი. შემდეგს 19-ში დაე-  
ბეჯდავთ კომიტეტის მოწოდებას.

ბიბლიოგრაფია

რედაქციამ მიიღო Georges Oliani-ის ბროშიურა  
Graves erreurs de l'intern. socialiste. ავტორი არ-  
ჩეხს სოც. ინტ-ის უკანასკნელ კონგრესს ბრიუსე-  
ლში და ამტკიცებს, რომ მან ჯეროვნად არ შეაფასა  
ბოლშევიზმი და ვერ გამოიჩინა აქტივობა ეროვნ-  
ულ საკითხში, კერძოდ საქართველო საკითხში.

Redaction et Administration.

M. J. GOBETCHIA

7, rue de Ponthieu, 7. Paris.